მაცნე სამტრედიის

გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

N35 (9251) 20 დეკემბერი. 2017 წელი ფასი 50 თეთრი

მუნიციპალიტეტში საახალწლოდ განსაკუთრებული სამზადისია

ალგილობრივი საბჭო ხონის მუნიციპალიტეტში 3

საკადრო ცვლილებები მერიაში

3

მომავალი წლის შიუჯეტი 11 464 000 ლარით განისაზღვრა

3

იმერეთრებული სასამართლოს მიზანი მოსწავლეებში საქართველოებრივი მართლშეგნების ამაღლებაა

ROCA მოსწავლეები თავად ირჩევენ სასურველ მიმართულებას 6

8

"ლიბერალური ხაზი" საინფორმაციო ცენტრში

6

"მამა ძალიან მიყვარხარ, კაცმა ცხოვრებაში ყველაფერი უნდა გამოსცადოს"

10

ჰაერის გაჭუჭყიანება-გაბინძურებამ დასაშვებ ზღვარს გადააჭარბა

მომავალი წლის ბიუჯეტი 11 464 000 ლარით განისაზღვრა

ლევან გაბეჩავა

განსაკუთრებული ხალხმრავლობა იყო საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის სხდომაზე, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია უძღვებოდა. დარბაზში იმყოფებოდნენ მუნიციპალიტეტში მოქმედი ააიპ-ებისა და შპს-ების ხელმძღვანელები, ბულალტრები, მერიის სამსახურების უფროსები, მედიის წარმომადგენლები.

სხდომისადმი ინტერესს მომავალი 2018 წლის მთავარი ფინანსური დოკუმენტი _ ბიუჯეტის დამტკიცება შეადგენდა.

დამტკიცდა დღის წესრიგი.

ძირითადი მომხსენებელი საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, შალვა არზუმანიანი გახლდათ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის "გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების", "საცხენოსნო სპორტული კლუბის", "სამტრედიის კომპლექსური სპორტული სკოლისა" და რიგი ააიპ-ებისა და შპს-ების პროგრამის განხილვისას, ოპოზიციის წარმომადგენელთაგან, (ავთანდილ სტურუა, ემზარ შუბლაძე, მამუკა ბიბილეიშვილი) არაერთგზის დაფიქსირდა, რომ თანამდებობრივ სარგოებში რამდენადმე შეუსაბამობაა, რომ დღევანდელ პირობებში არაფრის მთქმელია 120, 100 და 80 ლარიანი ხელფასების არსებობა.

აღინიშნა, რომ ამ კუთხით ისეთივე ვითარებაა, როგორც წლების წინ. ოპოზიციის წარმომადგენელთა ამ განცხადებას უმრავლესობიდან შესაბამისი პასუხებიც მოჰყვა. თუმცა, იყო საკითხები, მაგალითად ჭიდაობის დარბაზთან დაკავშირებით, რომელთა განხილვის დროსაც, დაფიქსირდა პოზიცია-ოპოზიციის აზრთა სრული თანხვედრა.

საკრებულოს სხდომაზე რიგი საკითხების განხილვისას, ოპოზიციამ ხმის მიცემაზე თავი შეიკავა, თუმცა გადაწყვეტილებები მაინც მიიღეს.

_ 87 წლის გაზეთია, რამდენჯერმე გავხდით დარგის ლიდერი საწარმო. თუ ფინანსური მატება იქნება, გაზეთი შესაძლებელია, ფერადი იყოს, გაუმჯობესდეს პოლიგრაფიული თვალსაზრისით, _ აღნიშნა შპს "სამტრედის მაცნეს" დირექტორმა ბეჟან გოგიამ.

საკრებულოს წევრთა კითხვებს არგუმენტირებულად უპასუხა "გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების" დირექტორმა ელგუჯა კალაძემ.

ვნებათაღელვის გარეშე საკრებულოს არც ამ სხდომას ჩაუვლია...

სათნოების სახლში წინათ და ამჯერად არსებული ვითარება გახდა ქალბატონი ნონა გოგისვანიძისა და ბატონი ემზარ შუბლაძის დავის საგანი, რომელიც რამდენიმე წუთს გაგრძელდა.

დამტკიცდა 2018 წლის ბიუჯეტი, რომელმაც 11 464 000 შეადგინა.

გაიზარდა ინფრასტრუქტურული პროექტების ხარჯები, სპორტული ღონისძიებების, კულტურის, განათლების _ ბაღების და სოციალური პროგრამების დაფინანსება. _ განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა დავით ბაღდავაძემ.

კერძოდ, სოციალური პროგრამების დაფინანსება მომავალი წლის ბიუჯეტში 65 600 ლარით გაიზარდა, ეს კი ხელს შეუწყობს სამტრედიელთა სოციალურ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, _ გვითხრა საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ლეჟავამ.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება (ბაგა-ბაღები) ერთიერთია იმ ააიპ-ებს შორის, რომელთაც დაფინანსება გაეზარდათ, ამდენად, კომენტარი გაერთიანების დირექტორს ქალბატონ ხათუნა გაგუას ვთხოვეთ, თუ რა მიმართულებით იქნება გამოყენებული გაზრდილი ფინანსები.

_ განსაკუთრებით მრავალფეროვანი იქნება მომავალი წლიდან ჩვენი პატარების, აღსაზრდელების რაციონი.

სადილზე მათ ექნებათ პირველი და მეორე ულუფა. რაციონი გაჯერებული იქნება ქათმის ხორცით, თევზეულით, ხორცეულით, ბოსტნეულით და რა თქმა უნდა, ხილით.

არის სახელფასო მატებაც. მინდა ვისარგებლო "სამტრედიის მაცნეს" მეშვეობით და მადლობა ვუთხრა მუნიციპალიტეტის თავკაცებს ნორჩებისა და მათზე მზრუნველი ადამიანებისადმი გამოჩენილი ყურადღებისათვის". _ განაცხადა სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა.

მუნიციპალიტეტში საახალწლოდ განსაკუთრებული სამზადისია

ნათია ნაცვლიშვილი

მიმდინარეობს როგორც ცენტრალური, ისე ქალაქის სხვა ქუჩების სხვადასხვა ილუმინაციებით მორთვა. გარე განათების სამსახურის წარმომადგენლები ძალასა და ენერგიას არ ზოგავენ, საახალწლოდ ჩვენი მუნიციპალიტეტის ქუჩებს სცაშუაშე რომ არ მოაკლდეთ. "სამტრედიის მაცნე" მუშაობის პროცესს დაკვირდა და კომენტარი კომუნალური გაერთიანების გარე განათების ქსელის მომსახურების განყოფილების უფროსს, ალექსანდრე კლარჯეიშვილს სთხოვა.

ალექსანდრე კლარჯეიშვილი: "რაოდენ არ უნდა გაგიკვირდეთ, ჩვენ სექტემბრიდან დავიწყეთ სამზადისი, ძველი მორთულობები შეკეთებას მოითხოვდა, მერე ტენდერი გამოცხადდა საახალწლო ნათურების შეძენაზე, გამარჯვებულმა კომპანიამ შემოიტანა, სამწუხაროდ, ეს ნათურები დაბალი ხარისხისაა. დავიწყეთ მათი დამონტაჟება. რამდენიმე ათეული წელია ვმუშაობ და ასეთი დაფინანსება არ მახსოვს, სანათი მოწყობილობების შესაძენად წლეულს გაორმაგებული რაოდენობის თანხა გამოიყო. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ თხოვნით მიმართა დედაქალაქის მერიას, გასული წლის საახალწლო სანათები ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის დროებით სარგებლობაში გადმოეცათ. ძირითადად ქოლგის ფორმის ილუმინაციებია, ასევე, მანათობელი ნათურები. 7 ცალი ორი მეტრი სიმაღლის ანგელოზი მომავლის პარკში დამონტაჟდება, თოვლის ბაბუა კი დაიდგმება და განათდება დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მიმდებარედ, აქვე მოხდება საახალწლო ქოხის განათება. 14 ელექტრონული ნაძვის ხე მთელ ქალაქში დაიდგმება, ორი და სამი მეტრის სიმაღლისა. წლეულს გადავწყვიტეთ, ნაძვის ხე სხვა ადგილას გადაგვეტანა. ვინაიდან მიუწვდომელი იყო ბავშვებისთვის. ბატონ ვალერიანე ფოცხვერიასთან შეთანხმებით, მოხდა მწყობრიდან გამოსული, ხელოვნური პალმის დემონტაჟი, რომელიც პოლიციის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, პარკში იდგა. იმ ადგილას კი დავდგით 10 მეტრი სიმაღლის ნაძვის ხე. გვაქვს დეკორატიული ფოთლები, რომლებიც განლაგდა თამარ მეფის, მანჯგალაძისა და ჭავჭავაძის ქუჩებზე. გვიანობამდე ვმუშაობთ, მოძველებული ტექნიკა გვყავს, მაგრამ კომუნალური გაერთიანების უფროსი კობა ბიბილეიშვილი და ტექნიკური მენეჯერი თენგიზ ღაღანიძე ყველაფერს აკეთებენ, ტექნიკა რომ იყოს მწყობრში და მუშაობაში შეფერხება არ გვქონდეს. რაც შეეხება ხარჯს, ნათურები ეკონომიურია, ბატონმა ვალერიმ გვთხოვა, განათება 23 დეკემბერს ჩაირთოს. გამოირთვება 18 იანვარს, მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი ვალერი ყოველ საღამოს მოდის ჩვენთან, პირადად არის ჩართული მუშაობის პროცესში, ასევე მინდა მადლობა ვუთხრა ბატონ მიხეილ ლეჟავას, ის არ ადუნებს ყურადღებას და ბევრ იდეას გვაწვდის თავადაც. გასულ წელს ეს განათების საშუალებები ყოფილი კომისარიატის შენობაში გვქონდა დასაწყობებული და შენახული. წლეულს ეს მორთულობები ბევრად მეტი იქნება და სხვა ადგილას დაგვჭირდება მათი შენახვა. განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს ყველა თანამშრომელს, დილაუთენია გამოდიან და დაღამებამდე მუშაობენ ალბერტ კანდელაკი, პაატა გოგიშვილი, მამუკა და ამირან ხუჭუები, თამაზ ლეგაშვილი, მურთაზ შენგელია, დათო ბანძავა, შალვა ასაბაშვილი, ვაჟა ხარებავა, გიგა ტალაბაძე, დათო გაბუნია."

ალექსანდრე კლარჯეიშვილი ერთადერთი თხოვნით მიმართავს ყველა სამტრედიელს, არ დააზიანონ ეს საახალწლო ელექტრონული მოწყობილობები. კიდევ ერთი სიახლე: ჯავახიშვილის ქუჩაზე დამონტაჟდება რამდენიმე ნაძვის ხე და მოირთვება შესაბამისი განათების მოწყობილობით. ეს ამერიკაში მცხოვრები სამტრედიელის საახალწლო საჩუქარია თავისი ქალაქისათვის. ქველმოქმედი საკუთარი ვინაობის გამხელისაგან თავს იკავებს.

საკადრო ცვლილებები მერიაში

ქეთევან ჭელიძე

თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ მოსალოდნელი საკადრო ცვლილებები მუნიციპალიტეტში ნაწილობრივ განხორციელდა. ნაწილობრივ, რადგან, ჩვენი ინფორმაციით, მერიაში კიდევ ერთი ახალი სამსახური შეიქმნება, ნავარაუდევია, აგრეთვე, ოპტიმიზაციაც.

ე. წ. მცირე მთავრობის კონცეფციის პროექტიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის მერს მხოლოდ ორი მოადგილე ჰყავს. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების ყოფილი უფროსი ირაკლი სულავა პირველი მოადგილის პოსტს იკავებს. ხოლო გამგებლის ყოფილი პირველი მოადგილე დავით ბახტაძე ამჯერად მერის მოადგილეა.

"სამტრედიის მაცნესთან" საუბარში ირაკლი სულავა უკეთეს მუნიციპალიტეტს გვპირდება: "ჩემი საქმიანობის სფეროს ფინანსები წარმოადგენს, როგორც ბიუჯეტის დაგეგმვა, ასევე, შესყიდვების განხორციელება. ეს ყველაფერი გათვალისწინებული და ხალხის ინტერესებზე მორგებული იქნება. მათ განცხადებებზე, პრობლემებსა და იმ პრიორიტეტებზე მორგებული, რასაც ისინი უპირატესობას ანიჭებენ. ბიუჯეტიც ხალხისა და საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე არის დაგეგმილი. დარწმუნებული ვარ, მუნიციპალიტეტი უფრო სხვანაირი გახდება."

" ახალი გამოწვევების წინაშე ვდგავარ". _ აღნიშნა დავით ბახტაძემ. თუ შეიძლება ასე ითქვას, შევიცვალე საქმიანობის სფერო. საინტერესო დარგებს ვკურირებ: სოციალურს, ჯანდაცვას, განათლებას, კულტურას, სპორტს, ტურიზმს და ძეგლთა დაცვას. ჩვენთვის უმთავრესია ის პრიორიტეტები, რომელიც ცენტრალურ ხელისუფლებას აქვს დასახული ქვეყნის განვითარებისათვის. იმედია, საშუალება მექნება, მოსახლეობისთვის ბევრი კარგი საქმე განვახორციელო. სამსახურის უფროსთან, ქალბატონ ნატო მანჯგალაძესთან ერთად უკვე განვიხილავ ახალ პროექტებს. უპირატესობა ენიჭება განათლების დარგის გაუმჯობესებას. მათ შორის პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობას. სამტრედიაში არსებობს ერთადერთი სკოლა-პანსიონატი, № 15 საჯარო სკოლა, შევეცდები, რომ განათლების პროგრამაში მაქსიმალურად ჩავრთოთ ამ სკოლის მოსწავლეები. ხელი შევუწყოთ საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას და რესოციალიზაცია მოხდეს უმტკივნეულოდ. საინტერესო გეგმები გვაქვს სპორტის, ახალგაზრდობის მიმართულებით, კარგ პროექტებს შევიმუშავებთ ტურიზმის კუთხით. ვფიქრობ, საინტერესო მოღვაწეობის პერიოდი გველოდება წინ."

რაც შეეხება მერიის თანამშრომელთა სავარაუდო შემცირებას და ამ თვალსაზრისით თანხების დაზოგვას, ამ ეტაპისთვის არ იგეგმება.

ადგილობრივი საბჭო ხონის მუნიციპალიტეტში

ნინო ნანიტაშვილი

ადგილობრივ დონეზე შექმნილი საკოორდინაციო ორგანო, ადგილობრივი საბჭო 15 დეკემბერს ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში შეიკრიბა.

შეგახსენებთ, რომ ადგილობრივი საბჭო რეგიონში შექმნილი ადგილობრივი საკოორდინაციო ორგანოა, რომლის შემადგენლობაში შედიან _ მუდმივ წევრებად პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, პრობაციის ბიუროს, არასამთავრობო ორგანიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენლები.

ადგილობრივი საბჭოს დროებითი წევრები შეიძლება იყვნენ მოწვეული სტუმრები და მოსახლეობის წარმომადგენლები.

ხონის საკრებულოს სააქტო დარბაზში 15 დეკემბერს საღამოს 5 საათისთვის რაიონულმა პროკურორმა, მალხაზ გეწაძემ ვანის, სამტრედიისა და ხონის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობას ადგილობრივი საბჭოს ფუნქციები და მიზნები კიდევ ერთხელ შეახსენა, შეაფასა განვლილი პერიოდი, ისაუბრა დანაშაულის პრევენციის ხარისხის გაუმჯობესებაზე, პრესის საშუალებით მოუწოდა, რომ საზოგადოების ნებისმიერ წევრს, თანამშრომლობის სურვილის შემთხვევაში, ადგილობრივი საბჭოს მუშაობაში შეუძლია ჩაერთოს.

ადგილობრივი საბჭოს განსახილველ თემას წარმოადგენდა ოჯახში ძალადობა, სქესობრივი კავშირი 16 წლის ასაკს მიუღწეველთან. საკითხების ირგვლივ საინტერესო დიალოგი გაიმართა, მრგვალი მაგიდის გარშემო შეკრებილები საკუთარი ინიციატივების გაჟღერებას არ მორიდებიან. გამოიკვეთა ცალკეული პოზიციები, რომელიც კამათის საგანი გახდა.

ადგილობრივი საბჭოს სხდომა 2 საათზე მეტი გაგრძელდა. შეხვედრა სამტრედიის რაიონულმა პროკურორმა მალხაზ გეწაძემ შეაჯამა.

იმიტირებული სასამართლოს მიზანი მოსწავლეებში სამართლებრივი მართლშეგნების ამაღლებაა

სამტრედიის რაიონული პროკურატურის ორგანიზებით, ხონის მუნიციპალიტეტში "საზოგადოებრივი პროკურატურის" ფარგლებში, პროექტის მორიგი პრეზენტაცია შედგა. ხონის მაგისტრატ სასამართლოში იმიტირებული პროცესი გაიმართა, ღონისძიებაში ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ მათხოჯისა და ქალაქის მე-4 საჯარო სკოლების მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა.

სოფელ მათხოჯის საჯარო სკოლის უფროსკლასელებმა შეითავსეს ბრალდებისა და დაცვის ფუნქციები, რაც შეეხება ნაფიც მსაჯულებს, მათ ქალაქის მე-4 საჯარო სკოლის მოსწავლეები წარმოადგენდნენ. სხდომის მიმდინარეობის სპეციფიკიდან გამომდინარე ხონის მაგისტრატ სასამართლოში მოსამართლის ფუნქცია შეითავსა რაიონულმა პროკურორმა, მალხაზ გეწაძემ.

სრულყოფილი სასამართლო განხილვა ჩატარდა. იმიტირებული სასამართლო პროცესის დროს მონაწილე მხარეებმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე თავიანთი პოზიციები დააფიქსირეს, რომელთა დასაცავადაც მტკიცებულებები წარმოადგინეს.

ვინ გამტყუნდა და ვინ გამართლდა, მსგავსი ღონისძიებებისთვის მეორე ხარისხოვანია. იმიტირებული სასამართლოს ძირითადი მიზანი მოსწავლეებში სამართლებრივი მართლშეგნების ამაღლებაა. სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ მონაწილეებს, ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ მათხოჯისა და ქალაქის მე-4 საჯარო სკოლის მოსწავლეებს სერტიფიკატები გადაეცათ.

ნინო ნანიტაშვილი

მწყემსი კეთილი

40 წელი პატრიარქის აღსაყდრებიდან

ლევან გაბეჩავა

საოცრად რთული, დაძაბული, თუმცა, ერისა და ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი 40 წელი ვაყიდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის აღსაყდრებიდან.

სწორედ მის უწმინდესობას უკავშირდება 70 წლიანი კომუნისტური რეჟიმის შემდეგ, საზოგადოების, ახალგაზრდობის შემობრუნება დედა ეკლესიისაკენ.

გაუქმებულ ეპარქიათა აღდგენა, ახალ ეპარქიათა შექმნა, სასულიერო პირთა რიცხობრივი ზრდა, ეკლესია-მონასტერთა მშენებლობა, განახლება, რეაბილიტაცია, სასულიერო სასწავლებლების დაარსება და ა. შ. ჩვენი ერისა და ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მოვლენებია გლობალიზაციის პირობებში.

ძნელია, ერთ წერილში ოდნავადაც ეცადო მისი უწმინდესობის ძალისხმევით განხორციელებულ კეთილ საქმეთა ჩამოთვლას.

მარად მღვიძარე, ჩვენი ცოდვათა მტვირთველი პატრიარქი მხურვალე ლოცვებით ავედრებს სამწყოს უფალს და მამულის გაძლიერებას, აღორძინებას სთხოვს.

განვლილი 40 წლის მანძილზე პატრიარქის მიერ ინიცირებულ ღონისძიებებთაგან, ჩვენი აზრით, მთავარი მაინც ის ინიციატივაა, რომლის მიხედვითაც საქართველოში დაბადებული ყოველი მესამე და შემდგომი ბავშვი მისი უწმინდესობის ნათლული ხდება. ათასობით ადამიანი, საჯიშე გოგო-ბიჭები შეემატნენ ჩვენს გენოფონდს.

სიახლე არაა, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უდიდესი საერთაშორისო ავტორიტეტით სარგებლობს არა მარტო საქართველოში, ქრისტიანულ, მართლმადიდებლურ სამყაროში, არამედ სხვა კონფესიათა წარმომადგენლებშიც, რაც ეროვნულ ღირსებებზეც ახდენს კეთილმყოფელ გავლენას.

პატრიარქი იქაა, სადაც ხალხს, ქვეყანას უჭირს.

ელვარე გონებით, რჩევებით, ქადაგებებით, სიბრძნისეული სიღრმით გვაძლევს ის ხვალინდელი დღის სამოქმედო პროგრამას, თუმცა, ბევრჯერ, ბევრმა არ შევისმინეთ მისი და საკადრისიც არაერთხელ მოგვეზღო.

არაა კვლევები საჭირო, თუმცა, ავტორიტეტული ორგანიზაციების კვლევების შედეგების მიხედვით, ილია მეორე თანამედროვეობის ყველაზე ავტორიტეტულ პიროვნებად რომაა მიჩნეული საქართველოში, ცხადზე უცხადესია. წარმოუდგენელიცაა სხვაგვარად.

პატივს მიაგებს ერი კეთილ მწყემსს.

ლამის 150 წლის სამტრედიის ისტორიაში მნიშვნელოვანია ის თარიღები როცა მისი უწმინდესობა სტუმრობდა ჩვენს რაიონს.

საყოველთაო სახალხო ზეიმად და დღესასწაულად აღიქვამდნენ ყოველთვის სამტრედიელები პატრიარქის ჩამობრძანებას.

უკვე ძნელიც კია, ზუსტად თქვა, რამდენი ტაძარი, სამლოცველო აღდგა, განახლდა სამტრედიაში, მის სოფლებში ილია მეორის მწყემსმთავრობისას.

მისი ლოცვა-კურთხევით ფუნქციონირება განაახლა ხონი-სამტრედიის ეპარქიამ, რომელსაც მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა, ხონი-სამტრედიის ეპარქიის მმართველი, მიტროპოლიტი, მეუფე საბა (გიგიბერია) უდგას სათავეში დღიდან აღდგენისა.

უდიდეს მადლად, პატივად აღვიქვამთ თითოეული სამტრედიელი საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდის მიერ ორი სამტრედიელის, დიდ ჯიხაიშელი მიტროპოლიტ ნაზარისა (ლეჟავა) და გამოჩინებულელი ფილიმონ ქორიძის წმინდანებად შერაცხვის ფაქტს.

მისასალმებელია ისიც, რომ სამტრედიაში ფუნქციონირებს წმინდა მიტროპოლიტ ნაზარის (ლეჟავა) სახელობის მართლმადიდებლური სკოლა, რომელიც სასულიერო კადრების სამჭედლოა.

აღსანიშნავია, რომ წლების წინ აიგო მიტროპოლიტ ნაზარის სახელობის შესანიშნავი ტაძარი (კულაშში), სულ ახლახან კი საფუძველი ჩაეყარა ფილიმონ მგალობლის (ქორიძის) მშობლიურ სოფელში წმინდა ფილიმონის სახელობის ტაძრის მშენებლობას.

პატრიარქის, საპატრიარქოსა და დედა ეკლესიის წინააღმდეგ გაჟღერებული ერთობ არასასიამოვნო ამბები ოდნავ ჩრდილსაც ვერ აყენებს მისი უწმინდესობის განუზომელ ავტორიტეტს. (თუმცა, დასაფიქრებელია).

ქართველი ერი, მრავალმილიონიანი მრევლი, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისა მხურვალე გულით, დიდი პატივით და სიყვარულით ეგებებიან უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის აღსაყდრებიდან 40 წლის იუბილეს (25 დეკემბერს) და სიყვარულითვე ულოცავენ მის უწმინდესობას დაბადების 85 წლისთავს (4 იანვარი, 2018 წ.).

დღეგრძელი იყოს პატრიარქი საქართველოსი!

ახალგაზრდა თეოლოგის პოლიტიკური მეგობები

ნათია ნაცვლიშვილი

მეოთხე მოწვევის საკრებულო მუშაობას შეუდგა. ახალი საკრებულოს ყველაზე ახალგაზრდა წევრი, გოჩა არველაძე 26 წლისაა. არის საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება _ ახალგაზრდების" წევრი. ვიდრე მას ამომრჩეველი თანამდებობაზე ყოფნის პლიუს-მინუსებს დაუთვლიდეს, გვსურს, საზოგადოების წინაშე წარვადგინოთ თავისი სამომავლო პოლიტიკური დაპირებებით.

სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ბათუმის იოანე ღვთისმეტყველის სახელობის სასულიერო სემინარიაში თეოლოგიის ფაკულტეტზე, მაგისტრატურა გაიარა გელათის სასულიერო აკადემიაში და მოიპოვა თეოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. მეოთხე კლასიდან არის კულაშის ჯვართამაღლების ტაძრის მნათე, მას შემდეგ კი არის კულაშის წმინდა მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას სახელობის ტაძრის მედავითნე და სტიქაროსანი, დეკანოზი რომანოზი (ნინუა) მისი მოძღვარია. ჯერ კიდევ სტუდენტს ჰქონდა შემოთავაზება "ქართული ოცნებიდან", ყოფილიყო კულაშის მაჟორიტარი დეპუტატი, მაგრამ უარი თქვა. აკადემიაში სწავლის დასრულების შემდეგ ჩააბარა გამოცდა და მოიპოვა ქალაქის გამგეობაში მუშაობის უფლება. გამგებლის წარმომადგენლის კოორდინაციის განყოფილების სპეციალისტად წელიწად-ნახევარი იმუშავა, იყო "ქართული ოცნების" ახალგაზრდული ფრთის ლიდერი. ამ პოლიტიკურმა გუნდმა განსაკუთრებული ნდობა გამოუცხადა ნიჭიერ ახალგაზრდას და დაბა კულაშის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა, ამასთანავე, დააზღვია კიდეც და ის პარტიულ სიაში მეხუთე ნომრად ჩასვა. გოჩამ თავის უმთავრეს კონკურენტს, მამუკა მინაშვილს "შენების მოძრაობიდან" აჯობა და ხმების 52 პროცენტი მოიპოვა. "ბავშვობიდან მინდოდა სასულიერო პირი გავმხდარიყავი, კი არ გავურბივარ პასუხისმგებლობას, ველოდები, დროის გასვლას, სასულიერო პირად ყოფნა არის უდიდესი პასუხისმგებლობა." _ ამბობს გოჩა და არ გამორიცხავს, მომავალში გახდეს სასულიერო პირი. ეს სამომავლოდ, ხოლო დღეს ის თავისი ამომრჩევლის ღირსეულ დესპანობას აპირებს და ცდილობს, დაკისრებულ მისიას კარგად გაართვას თავი. ჩვენს კითხვაზე, საიდან იწყებს საქმეს? გვპასუხობს: "ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, დაპირებები შევუსრულო ჩემს ამომრჩეველს, რა გიჭირთ? _ ამ კითხვით მივმართე თითოეულ მათგანს. მეუბნებოდნენ, კანალიზაციის პრობლემა მოგვიგვარეო, მაშინვე ვუთხარი, ვერ გპირდებით, რომ ამ პრობლემას სწრაფად მოგიგვარებთ, იმიტომ, 2018 წელს დაიწყება ქსელის პროექტირება. სოციალური პრობლემები, რა თქმა უნდა, ყველა ოჯახს აქვს, ასე თუ ისე, გზები დაგებულია, უმუშევრობა მთელ საქართველოშია და ამას გაცილებით გლობალური მიდგომა სჭირდება. კულაშში არის სამკერვალო ფაბრიკა, ჩვენ ვერ ვერევით კერძო ბიზნესსაქმიანობაში, ვერ მოვითხოვთ პერსონალის ხელფასის მომატებას. ასევე არის თხილის გადამმუშავებელი ქარხანაც, მაგრამ ეს ვერ წყვეტს უმუშევრობის პრობლემას. საზოგადოებაში ახალგაზრდების ჩართულობის პრობლემა დგას, ქალაქში უფრო ჩართულია შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებებში ახალგაზრდობა, ვიდრე დაბაში, ინტერესი ნაკლებია, ამიტომ, მათი გააქტიურებაა საჭირო. ახალგაზრდებს იმაზე მეტს ვერ დავპირდები, რისი გაკეთებაც არ შემიძლია. საჭიროა მათი მეტი ჩართულობა საზოგადოებრივ საქმიანობაში, დასაქმება, სჭირდება ახალგაზრდას ბიძგი, თავისი შესაძლებლობები რომ გამოავლინოს. შშმ პირებს 18 წლის ზემოთ, უნდა დავეხმაროთ, დედაქალაქში მათი დასაქმების მეტი შესაძლებლობაა, რადგან ბიზნესსექტორი უფრო სიცოცხლისუნარიანია. ამ ადამიანების ზუსტი აღრიცხვაა პირველ ეტაპზე აუცილებელი, შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს, ისინი საზოგადოების ისეთივე წევრები არიან, როგორც ჩვენ, გავიარე ტრეინინგ მოდული "ინკლუზიური განათლება _ რთული ქცევის მართვა." ჩვენს გამგეობაში დასაქმებულნი არიან ნიჭიერი ახალგაზრდები და ეს ადამიანები არიან კვალიფიციურნი, იმედია, კიდევ ბევრ ნიჭიერ ახალგაზრდას ვიხილავ მათ შორის. ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია დღეს სკოლებში რელიგიის გაკვეთილების შეტანა. ერთ ფაქტს გაგახსენებთ, 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგედიის დროს ამერიკაში ერთ-ერთმა იკითხა, რატომ დაუშვა ღმერთმა ეს ტრაგედიაო? ჩვენ თავად ვაქციეთ ღმერთს ზურგი და რატომ გვიკვირსო, უპასუხეს მას. თუ ოპონენტები გვეტყვიან, რომ შეიძლება, კლასში იჯდეს სხვა რელიგიის მიმდევარი და მას რატომ უნდა დავაძალოთ ქრისტიანული რელიგიის სწავლება, ოპონენტებს ვუპასუხებთ: შევამეცნებთ ყველა ძირითად რელიგიას და მოზარდი თავად გადაწყვეტს, რა მოიწონოს, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ისტორია არის საქართველოს ეკლესიის ისტორია, რადგან უძველესი დროიდან ყველა დიდ ტაძარში უდიდესი საგანმანათლებლო კერა არსებობდა. ძალადობის პრევენციისთვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა სკოლებში რელიგიის სწავლებას, ის ამ ძალადობის მუხტს შეანელებდა. რასაც ვაკეთებთ, იმას ვიმკით. ადამიანი თუ გინდა ადვილად მართო, უნდა გამოაცალო განათლება, ამიტომ, უნდა ვეცადოთ, ჩვენი მომავალი თაობა ეროვნულ, ქართულ ღირებულებებზე იყოს ორიენტირებული. უპირველესი ოჯახის ინსტიტუტის გაძლიერებაა.

საკრებულოს ახალგაზრდა დეპუტატი წიგნსაც ემეგობრება, ამოსავალი წერტილი ბიბლიაა. "თანამედროვეთაგან ვეტრფი გურამ დოჩანაშვილის შემოქმედებას, "კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა" მოსწავლეობის დროს წავიკითხე, მიყვარს თეოდორ დოსტოევსკის შემოქმედება, რომელიც ასევე ახლოა ქრისტიანობასთან, მიყვარს "დანაშაული და სასჯელი", "ეშმაკნი", "იდიოტი". ქართველი პოეტებიდან უპირველესია გალაკტიონი." _ ამბობს ჩვენი რესპონდენტი.

რეპლიკა

სამშობლოს სიყვარული საკუთარი ეზოდან, ქუჩიდან, უბნიდან... რომ იწყება ჩემზე ბევრად განათლებულმა და ავტორიტეტულმა კაცმა ბრძანა. არ დავობენ ამაზე დიდი ხანია.

ბოლო წლებში ჩვენს მუნიციპალიტეტში სახელმწიფოს მაქსიმალური და მოსახლეობის მინიმალური ფინანსური მონაწილეობით, მოწესრიგდა მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების გადახურვა.

წინა წლებისგან განსხვავებით ძნელია ნახო კორპუსი, რომლის მცხოვრებლებს წვიმის ეშინოდეთ.

მიმდინარე წელს კი, ყველას გასახარად, ცენტრალურ ქუჩებზე არსებული კორპუსების ფასადებიც განახლდა, შეიღება, რამაც მუნიციპალიტეტისა და კერძოდ, ქალაქის იერსახეზეც მოახდინა კეთილმყოფელი გავლენა.

რაც კარგია, კარგია და მისასალმებელი, ფასადების განახლების პროცესი გაგრძელდება კვლავაც.

ამჟამად საუბარი მოსახლეობის ერთი, არცთუ მცირე ნაწილის გულგრილობასა და უპასუხისმგებლობაზე გვექნება, რაც სადარბაზოებში არსებული ანტისანიტარიითა და უწესრიგობითაა გამოხატული.

საშინელი ვითარებაა სადარბაზოებში, სიბნელესა და ქარს მოფარებულ მაწანწალა ძაღლებს თუ დააღწიე თავი ტალახსა და ნაგავს ნამდვილად ვერ ასცდებით.

ნუთუ ასე ძნელია, სადარბაზოებში მცხოვრებნი შეამხანაგდნენ და რიგის მიხედვით მოაწესრიგონ, იზრუნონ სადარბაზოების, შესაბამისად ეზოების სისუფთავეზე?

არის შემთხვევები, განსაკუთრებით ზაფხულში, როცა ახალგაზრდები ანაგვიანებენ ნაყინის შესაფუთი ქაღალდებითა და ქილებით ეზოებს, ქუჩებს.

იქნებ ესეც ხელისუფლების ბრალია, ან რომელიმე პარტიის?

ამ შემთხვევაში სამშობლოს სიყვარული სადარბაზოებიდან იწყება.

კორპუსებში მცხოვრებთა სახეა იქ არსებული ვითარება.

ასე ვფიქრობთ ჩვენ.

ფოტოები რუსთაველის, ჭავჭავაძისა და რესპუბლიკის ქუჩებზე მრავალსართულიანი კორპუსების სადარბაზოებსა და ეზოებშია გადაღებული.

ლევან გაბეჩავა

ჰაერის გაჭუჭყიანება-გაბინძურებამ დასაშვებ ზღვარს გადააჭარბა

ატმოსფეროში ჰაერის გაჭუჭყიანება-გაბინძურებამ დასაშვებ ზღვარს გადააჭარბა, რამაც ადამიანის ჯანმრთელობას სერიოზული პრობლემები შეუქმნა. ამჟამად დღის წესრიგშია ადამიანთა მჭიდრო კავშირი მცენარეთა სამყაროსთან.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, დედამიწის უდიდეს ნაწილში ჰაერის გაჭუჭყიანება-გაბინძურებამ ტოქსიკური აირებითა და სხვადასხვა მიზეზებით წარმოქმნილი მტვრის მინარევებით დასაშვებ ზღვარს გადააჭარბა, მათ შორისაა ჩვენი ქვეყანაც. საუბედუროდ, ეს არასასიამოვნო პროცესი, რომელმაც ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს უკვე საფრთხე შეუქმნა, წლითიწლობით უფრო მწვავდება, რიგ ქვეყნებში იგი საგანგაშოდ აღიქმება. მაგალითად, ახლახან დიზელსაწვავის ხმარება ავტომანქანების საექსპლუატაციოდ, როგორც უფრო მეტი საფრთხის შემცველი, ქალაქ ლონდონის ადმინისტრაციამ ხმარებიდან ამოიღო.

ატმოსფეროს ჰაერის გაჭუჭყიანება-გაბინძურების მიზეზები მეცნიერებამ ორ ჯგუფად დაჰყო: პირველია ბუნებრივი მოვლენები _ მიწისძვრები, ვულკანები, მეწყერები, ქარიშხლები, გვალვები, წყალდიდობები, კოსმიური მტვერი და სხვა. მეორეა ხელოვნური, ანუ მეცნიერული ენით ანთროპოგენური, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ადამიანის სამეურნეო საქმიანობასთან. მათ შორის უმთავრესია ავტომანქანების, თვითმფრინავების, ტრაქტორების და სხვა სახის ტექნიკური საშუალებების შიდაწვის ძრავებში მოხმარებული საწვავის გამონაბოლქვი, ატომური ელექტროსადგურის ექსპლუატაცია თავისი ავარიებით. ასევე რკინიგზის ტრანსპორტის, განსაკუთრებით სატვირთო შემადგენლობის მიერ ატმოსფეროში მიმოფრქვეული ნავთობპროდუქტების სუნი და რკინების ხახუნის შედეგად წარმოქმნილი მეტალის მტვრის კორიანტელი.

ახლა მოკლედ იმაზე, თუ რა პროცესები ხდება გარშემო სივრცეში: ამჟამად მთელ მსოფლიოში 400 მილიონზე მეტი მარტო მსუბუქი ავტომანქანაა. ყოველი მათგანი 1000 კმ მანძილის გავლის დროს წვავს ჰაერის უძვირფასეს ნაწილს ჟანგბადს, რომელიც ერთ ადამიანს ერთი წლის განმავლობაში ესაჭიროება, დროის ამ მონაკვეთში მანქანის ძრავის საწვავის მოხმარების შედეგად ჰაერში გამოყოფს ერთ ტონამდე ნახშიროჟანგის შხამიან გაზს CO^2.

აქედან გამომდინარე, ჩვენთვის ნათელი უნდა იყოს, ჩვენს გარშემო ქალაქის ქუჩებში თუ სოფლის გზებზე ასობით და ათასობით "შორბენალი" სხვადასხვა მარკის სიმძლავრის ავტომანქანები დღეღამის განმავლობაში რა უხვად გვიმარაგებენ ორგანიზმს შხამიანი გაზებით. ცნობილია, რომ შხამის შემცველი გაზის გამონაბოლქვის მოცულობა პირდაპირპროპორციულია მოძრავი მანქანების რაოდენობაზე. მაგრამ ეს არასასიამოვნო პროცესი კიდევ უფრო მწვავდება საწვავის დაბალი ხარისხისა და ძრავის გაუმართავობის დროს. თუ მაღალი ხარისხის საწვავის წვის შემთხვევაში ძრავიდან გამონაბოლქვში ნახშირბადის მონოოქსიდების რაოდენობა 5-6%-ია, უხარისხო საწვავის ხმარების შემთხვევაში მათი რაოდენობა 12%-მდე იზრდება. მეცნიერების მიერ მრავალგზის დაზუსტებულია, რომ ასეთი აირების შეღწევა სასუნთქ ორგანოებში იწვევს ადამიანის მსუბუქად მოწამვლას _ გულის რევას, გახშირებულ სუნთქვას, თავის ტკივილს და ღებინებასაც კი. ეს გამოწვეულია იმით, რომ ოქსიდების ჯგუფი ორგანიზმში მოხვედრისას სწრაფად უერთდება სისხლის რკინის იონებს, რომლის დროსაც წარმოიშვება კარბოქსილჰემოგლობინი. გაჯერებული სისხლი კი ვერ ითვისებს ჰაერიდან ჟანგბადს და განიცდის მის შიმშილს, საწვავის კიდევ უფრო დაბალი ხარისხი და მისი არასრული წვა იწვევს კიდევ უფრო საშიშ პოლიციკლური არომატული ნახშირბადის _ ბენზპირენის წარმოშობას. ეს უკანასკნელი მეცნიერების მიერ აღიარებულია, როგორც ადამიანის ორგანიზმში ავთვისებიანი სიმსივნის გამომწვევი.

ატმოსფეროს ჰაერის გაჭუჭყიანება-გაბინძურების რეალურ პროცესებზე, მის მოსალოდნელ საგანგაშო შედეგებზე, მეცნიერებამ ბევრი გამოკვლევა ჩაატარა და ჭეშმარიტი დასკვნებიც გააკეთა, რაც ვალდებულს გვხდის, როგორც საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის ვიცეპრეზიდენტი, საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი თეოფანე დავითაია ბრძანებს "ცალკეული დეგრადირებული ეკოსისტემების გაჯანსაღებაზე ზრუნვა, ხვალინდელი სიცოცხლის გადარჩენის საწინდარია".

საბედნიეროდ, გაბინძურებული ჰაერის განეიტრალება-გაუვნებლობის ყველაზე ეფექტური ღონისძიებაა, ჩვენს გარშემო არსებული სივრცეების მაქსიმალურად გამწვანება მცენარეული საფარით. საქმე ის გახლავთ, რომ ატმოსფეროს ჰაერში შერეული და მიმობნეული მხუთავი ნახშიროჟანგი გაზი CO^2, სწრაფად შთაინთქმება მცენარეთა მწვანე ფოთლების მიერ, იგი მისთვის ძირითადი საკვებია. მწვანე ფოთლებით შთანთქმული მომწამვლელი აირები მზის ენერგიის ხარჯზე გარდაიქმნება ორგანულ ნივთიერებად, რომელსაც ფოტოსინთეზი ეწოდება. რა თქმა უნდა, ბუნების ეს დიდი თვითრეგულირებადი პროცესები უნდა ჩავაყენოთ ხალხის სამსახურში, მაგრამ ამისათვის მცენარეების ერთეული ნარგავები სრულებითაც არაა საკმარისი დაიცვას ჩვენი ჯანმრთელობა და სიცოცხლე.

რაც შეეხება ბუნებრივ და ხელოვნურ ტყეებს, საქართველოში და მის კუთხეები ჯერ კიდევ საკმაოდაა შემორჩენილი, მაგრამ მისი დეფიციტია იქ, სადაც მოსახლეობა მჭიდროდაა დასახლებული და სადაც ჰაერის გაბინძურებაც მაქსიმალურად მიმდინარეობს.

ამდენად, ჩვენ და ჩვენი დღევანდელი ახალგაზრდობა მწვავედ განვიცდით მცენარეთა საფარის სიღარიბეს... და თუ დროულად არ აღვადგენთ ბუნების ამ ყოვლისმომცველ სიკეთეს, მარტო ქიმიური პრეპარატებით ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნება და სიცოცხლის გახანგრძლივება ძალიან გამწვავდება.

ცნობილია, რომ ჩვენი არც ისე შორეული წინაპრები, გაბმულ ტყეთა გარემოცვაში ცხოვრობდა და ძალაუნებურად სარგებლობდა ბუნების ამ ხალასი სიმდიდრით, მაგრამ იმის შემდეგ, რაც ადამიანმა გამოიგონა ყოვლისშემძლე ტრაქტორი, ჩვენს ბუნებრივ სიმდიდრეს, ათასწლოვან ტყეებს მუსრი გაავლეს. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ჩამოყალიბებამ მოითხოვა სახნავი მასივების შექმნა, ამოძირკვული იქნა ისეთი ხეები, როგორიცაა წაბლი, მუხა, რცხილა, ცაცხვი, წიფელი, ურთხმელი, კოლხური ბზა და სხვა, რომლითაც მდიდარი იყო საქართველოს ტყეები, შემდეგ კი ეს ხე-მცენარეები წითელ წიგნშიც იქნა შეტანილი.

ბევრისთვის უცნობია ის ფატი, რომ მრავალი სახეობის ხე-მცენარე გამაჯანსაღებლად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე, მას შეუძლია განკურნოს ადამიანის ფსიქიკა, გააუმჯობესოს გულის მუშაობა, შეაჩეროს თავის ტკივილი, ნივთიერებათა ცვლა ორგანიზმისა და საერთოდ შეამციროს სტრესული პროცესები. სწორედ ამიტომაა, ბუნებაში სეირნობის შემდეგ ადამიანი თავის თავში გრძნობს ახალი ენერგიის კონცენტრაციას, დასახული მიზნების შესრულებისას განსაკუთრებულ შემართებას. ყველაფერი ეს ხდება ხეებიდან ბიოენერგეტიკის შეთვისების შედეგად. დამტკიცებულია მეცნიერების მიერ, რომ ხეებთან სიახლოვისას და მათზე ხელით შეხებისას ისინი ადამიანს ანიჭებენ არამარტო დამატებით ბიოენერგიას, არამედ, უარყოფითად დამუხტულ ენერგიასაც ართმევს მას. ამ მიზნით ადამიანი ყოველდღე ან დღეგამოშვებით მის მიერ შერჩეულ ხეს 5-8 წუთით უნდა დაეკონტაქტოს. ამ რეალური სასიცოცხლო სიკეთით ფართოდ სარგებლობენ მრავალი ქვეყნის წამყვანი ფსიქოთერაპევტები, ისინი თავიანთ პაციენტებს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ურჩევენ დენდროთერაპიას (მცენარეებით მკურნალობა) და შედეგსაც საუკეთესოს ღებულობენ.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ქალაქები საკმაოდ გამწვანებულად გვეჩვენება, ეს სრული გამწვანების 25-30% თუ შეადგენს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი სათაყვანებელი ქალაქები: ზესტაფონი, სამტრედია, ქუთაისი, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი და მისი მოსახლეობა უდავოდ იმ გაღარიბებული ბუნების სივრცეშია, რომელსაც უახლოეს მომავალში აუცილებლად სჭირდება მარადმწვანე მცენარეთა საფარით გამდიდრება.

ამ სტატიის ავტორებმა დიდხანს ვიმსჯელეთ, თუ რა ეფექტური ღონისძიება შეგვეთავაზებინა ქალაქის თავკაცებისათვის, რათა მცირე დანახარჯებით განხორციელებულ იქნას გამწვანების ისეთი მიმზიდველი გეგმები, რომელიც უახლოეს წლებში ნამდვილად წაადგებოდა ჩვენს მოსახლეობას, განსაკუთრებით მოზარდ თაობას. ამასთან ერთად ამ ღონისძიების განხორციელებით კმაყოფილი იქნება მომავალი თაობებიც.

ამ ღონისძიების შესახებ მოკლედ: ჩვენ შევარჩიეთ მსოფლიოში მტკიცედ აპრობირებული, მრავალმხრივი გამოყენების, ულამაზესი და უძვირფასესი მარადმწვანე, მაღალმოზარდი ევკალიპტები. ევკალიპტის უპირატესობა სხვა მერქნიან მცენარეებთან შედარებით ისაა, რომ ის არის ყველაზე სწრაფად მზარდი ხე-მცენარე. ამასთან, იგი ერთდროულად გვევლინება, როგორც უნიკალური დეკორატიული, ქარსაფარი, ძვირფასი თაფლოვანი, მერქნის მომცემი მცენარე. სწორედ ამიტომ ეს მცენარე უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში გაავრცელეს და გაამრავლეს მთელი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, იქ სადაც ჰაერის ტემპერატურის _ 20°C° დაბლა არ ეცემა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ევკალიპტი მარადმწვანე მცენარეა და ითვლება სამკურნალო-გამაჯანსაღებელ მცენარედ. გარდა იმისა, რომ იგი ჰაერიდან ხარბად შთანთქავს ნახშიროჟანგ გაზს _ CO^2-ს და გამოყოფს ჟანგბადს, ასევე მისი მწვანე ფოთლები მუდმივად გამოყოფენ, განსაკუთრებით ზაფხულის ცხელ დღე-ღამის განმავლობაში ფიტონციდურ ანტისეპტიკურ აირებს, რომლის სივრცეში იღუპება ის ვირუსები და ბაქტერიები, რომლებიც ორგანიზმში იწვევენ ანთებით პროცესებს. მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ ტუბერკულოზით დაავადებული ადამიანი, თუ ევკალიპტის ბაღში ხშირად 4-5 საათის განმავლობაში ისეირნებს, ის უფრო უკეთესად იკურნება ფილტვებში დაბუდებული კოკებისგან, ვიდრე ქიმიური პრეპარატებით _ სტრეპტომიცინისა და პენიცილიუმისგან. "კექსის ჭამა ვერ გვიშველის, თუ ჰაერმა ჩაგვაშხამა".

განსაკუთრებით ევკალიპტების ტყეპარკებს დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვებისა და მოზარდებისათვის, რადგან მათ ორგანიზმში ხება იმუნოგენური პოტენციალის გაძლიერება-ჩამოყალიბება.

უძველესი კოლხური ცივილიზაციის მოდგმის ხალხს ასეთი ტყე-პარკების გაშენება ქალაქის სიახლოვეს და ორგანიზებულად დასვენება საამაყო და მისაბაძი იქნება ყველასათვის.

სიმონ ზაქარიას
ლენინ ძაძუა
სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა დოქტორები

თეა ბაბუნაშვილი

დიდებულად ქცეული სიძვიწლე – ჯეშმარიტება უნიღბობის ნიღბით

***თეატრს რომ სჭირდება, სწორედ ის პიესებია ცხოვრების სპექტაკლები. თამაშობენ მიწიდან სცენაზე ანაცვლებული ნიღბები მასკარადის მოლიანობად. მხიარული და მწუხარე გამომეტყველების ერთობლიობა ვერ სცნობს განსხვავებას შინაგან ფასეულობებსა და სოციალურ უპირატესობას შორის. ამიტომ მისთვის გეომეტრიული სიზუსტე აბსტრაქციად რჩება. ცის ქვეშეთში ჯერ არ გაჩენილა სულიერი, საკუთარ თავზე არ იყოს შეყვარებული და ნიღაბმოხსნილი მივიდეს მისი ამოცნობის, მისი პოვნის ჭეშმარიტებამდე. ამიტომ ადამიანს დასაბამიდან "უწვავდა სახეს ახლეჩილი ნიღბის ტკივილი". ერთმანეთისგან მიმიკით ან სახელებით განსხვავებულ ნიღბებს შუა მხოლოდ ცოდნის სიზუსტე მიიკვლევს გზას ყალბი გრძნობების ლაბირინთებიდან თავის დასაღწევად. ყალბი გრძნობებისგან, რომლებსაც მიწიდან ცამდე მეტი წონა აქვთ, ვიდრე სიყვარულს, თუნდაც, აბსტრაქციული სიზუსტისა და ერთგულებისადმი. დიახ, ერთგულებისადმი, თორემ სიშიშვლე დიდებულებად იქცა _ "შეეძლო დიდებული კახპა ყოფილიყავი" _ ესაა უნიღბოობის ნიღაბს ამოფარებული ჭეშმარიტება, სახიდან სათნო ღიმილით სწორედ მაშინ რომ ჩამოვარდება, როცა მიხვდები, _ მასკარადი დასრულდა! სიშიშვლე დიდებულებად იმიტომაც იქცა, რომ მეფე ყოველთვის შიშველია. ამის დამნახველს მუდამ სჯიან ისინი, ვისაც "სიმართლის ვაგება არ სურს და ამას რწმენას და ერთგულებას ეძახის". მათ მოიგონეს ნიღაბიც და შეჰქმნეს სამასკარადო რიტმსაყოლიანი მელოდია.*

ის, რასაც სცენაზე ვნახულობთ, ყოველდღიურობაა, ყოველდღიურობა ამ და ყველა სხვა სცენის მიღმა, უბრალოდ, ჩვენ გვინდა, რომ სპექტაკლი იყოს. მასკარადი ამ დარბაზშიც და მის გარეთაც უსათუოდ გაგრძელდება მას შემდეგ, რაც ის სცენაზე დასრულდება!

ამგვარი წინასიტყვაობა იმიტომ, რომ ეროსი მანჯგალაძის სახელობის სამტრედიის დრამატული თეატრის დასის საპრემიერო ჩვენებას, მაყურებლთან ფარდის გახსნა აშორებდა მხოლოდ. მაქს ფრიშისეული "დონ ჟუანი, ანუ გეომეტრიის სიყვარული" რეჟისორმა ვეფხია ნადირაძემ მეგობრის, ნონა მუქერიას თანარეჟისორობით დადგა. მთავარ როლს ახალგაზრდა მსახიობი თამაზ გოგიშვილი ასრულებდა. მასში დაკავებული იყვნენ სამტრედიის დრამატული თეატრის წამყვანი მსახიობები და არა მხოლოდ ისინი, იყო რამდენიმე ახალი სახე, რომლებმაც თავი კარგად გაართვეს სპექტაკლის სირთულეს. თუმცა, ეს გახლდათ სპექტაკლი, რომელზეც, შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობდა მთავარი და მეორეხარისხოვანი როლი, აქ ყველა სახე დასამახსოვრებელი და უპირველესად საჭირო გახლდათ სიუჟეტის განვითარებისთვის. და კიდევ ერთი გარემოება _ კოსტიუმების შემქმნელი და სპექტაკლის მხატვარი ნანა რუხაძე გახლავთ შემოქმედი, რომლის წარმოსახვაც ამ წარმოდგენის ერთგვარი ნიშა გახდა.

რეჟისორმა პიესაში ზოგიერთი დეტალი საკუთარი შეხედულებისამებრ შეცვალა. "პიესაში განსაზღვრული არ იყო გეომეტრიის აბსტრაქციული სიყვარული. ამით მაქს ფრიშის მოსაზრება, დონ ჟუანი ამ ასპექტით უფრო თვალსაჩინოდ წარმოედგინა, უკეთესად გადმოვეცი. ლეგენდის მიხედვით ჩვენამდე მოსული დონ ჟუანის პიროვნება, ვნებას აყოლილი ფუქსავატი დიდგვაროვანი, სხვაგვარად წარმოჩინდა, იგი ცხოვრებამ აქცია ისეთად, როგორიც იყო." _ ასე ახასიათებს რეჟისორი მაქს ფრიშის მიხედვით შექმნილ საკუთარ დონ ჟუანს.

ეს გახლდათ სპექტაკლი, რომლის მონაწილეც მაყურებელი თავისთავად იქცა. სცენასთან დარბაზი განსაკუთრებულმა, მოუთმენელმა ინტერესმა გააერთიანა. ზოგიერთმა მათგანმა, მაგალითად, ტატა გოგუაძემ, სოფიო კირთაძემ საკუთარი ვარაუდები იმისა, რისი მომსწრეც უნდა გამხდარიყო მაყურებელი, ჯერ ისევ პირველი აქტის დამთავრებისთანავე ხმამაღლა გამოთქვა.

დონ ჟუანი სცენიდან ინტრიგითა და განსაკუთრებული აურით იხიდავდა მაყურებელს. სურვილი, სიკვდილი და ღმერთი _ ეს მისი ცხოვრების ქვაკუთხედი გახდა და იგი ასეთად გარემოებამ ჩამოაყალიბა. მისი პიროვნული საწყისი, მექალთანეობა, ამჯერად აბსტრაქციისადმი სიყვარულმა აქცია ინტრიგად. ამ შემთხვევაში აბსტრაქცია მისთვის გეომეტრია გახლდათ და იგი გახდა მისი ერთადერთი სიყვარული, რომლისადმი უძლეველ თაყვანისცემას პრიმიტივად ქცეული მექალთანეობით ნიღბავდა უბრალო მოკვდავთათვის. ამიტომ გახდა ქალის სიყვარული მისთვის არსებობის დადასტურება.

სპექტაკლით მაყურებელი სათქმელს მიუხვდა რეჟისორს. თანამედროვეობიდან არისტოკრატიული ხანის ესპანეთში გადასახლება მისთვის ბუნებრივი, პიესის შინაარსმა გახადა.

ახალი სიტყვა სამტრედიის თეატრალური დასის შემოქმედებაში _ ასე შეაფასა დარბაზმა სანახაობა სცენაზე, რომელიც თავისუფლად შეიძლება მივიჩნიოთ ყოველდღიურობის სიმბოლოდ. ამ სპექტაკლის არა კიდევ ერთხელ, რამდენჯერმე ნახვა არ იქნება საკმარისი, რომ ყველა ჯერზე ახალი აღმოჩენა გააკეთო და ცხოვრებისეულ ამაოებასა თუ სიბრძნეს ჩაუღრმავდე _ ამგვარი შეფასებით მის თანამონაწილედ ქცეული მაყურებელი მომავალ პრემიერამდე დაემშვიდობა თეატრს.

ეს სპექტაკლი ის შემთხვევა გახლდათ, რომელზე წერაც დაგვიანების შემდეგაც არ იქნება უინტერესო. ამიტომ პრემიერიდან კარგა ხნის მერე თავისი განსაკუთრებული პოპულარობის გამო, დონ ჟუანი საუბრის თემად უყოყმანოდ გავხადეთ.

ROCA MOSწავლეები თავად ირჩევენ სასურველ მიმართულებას

ნინო ნანიტაშვილი

მიმართულება _ ხელოვნება, თავისუფალი გაკვეთილი _ თეატრი სკოლაში, თემა _ დავით კლდიაშვილის "დარისპანის გასაჭირი". მოქმედება ქვემო იმერეთში, კონკრეტულად ღანირში მიმდინარეობს. მსახიობები ამავე სოფლის საჯარო სკოლის უფროსკლასელები არიან. ისინი დიდი მონდომებით აცოცხლებენ საუკუნის წინანდელ ცხოვრებას, გაღატაკებული აზნაურების ყოველდღიურობას, დუხჭირ ყოფას და იმ კუდაბზიკობას, რითაც იმერელი დიდგვაროვნები სხვა კუთხის მცხოვრებლებისგან მუდმივად გამოირჩეოდნენ.

წარსულის ელფერის გასაძლიერებლად ღონისძიების ორგანიზატორებს მცდელობა არ დაეკლოთ, სცენის დეკორაციები მე-20 საუკუნის დასაწყისის იმერულ ეზო-კარმიდამოზე წარმოდგენას ნათლად გვიქმნიდა.

სკოლებში თავისუფალი გაკვეთილები, ძირითადად, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ჩატარებულ აქტივობებზეა აგებული, რომლის დროსაც უფროსკლასელები ირჩევენ მათთვის სასურველ მიმართულებას. ასე მოხდა ღანირის საჯარო სკოლაშიც. ხელოვნების პედაგოგის, იამზე ყურაშვილის მიერ მომზადებული პროექტი განათლების სამინისტრომ მოიწონა და დააფინანსა.

პროექტის პრეზენტაცია 12 დეკემბერს შედგა. საპატიო სტუმართა შორის იყვნენ: მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია, მერიის განათლებისა და კულტურის სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე შალვა არზუმანიანი, საკრებულოში ღანირის მაჟორიტარი დეპუტატი ბადრი შენგელია.

სტუმრებმა სპექტაკლის ბოლოს შეფასებები გააკეთეს. ხელისუფლების წარმომადგენლებმა დასძინეს, რომ მსგავსი აქტივობების დროს სკოლებში გამორიცხულია ძალადობის ფაქტები, ახალგაზრდობას გემოვნება ეხვეწება და ეზიარებიან ხელოვნების სხვადასხვა დარგს.

მე რომ სამტრედიის მერი ვიყო

ლევან გაბეჩავა

უკიდეგანო, ამოუწურავია ახალგაზრდების ენერგია, ცელქობენ, თამაშობენ, ერთობიან, განიცდიან, ფიქრობენ, მსჯელობენ.

არასამთავრობო ორგანიზაცია "isee you" მრავალ პროექტს ახორციელებს, რომელთა მიზანიც სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ მიაჩვიონ ახალგაზრდები თავისუფალ აზროვნებას, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებას და ა. შ.

აქტიურობით უკვე ცნობილმა რამდენიმე ახალგაზრდამ ღონისძიებაზე ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში მიგვიწვია. "მე რომ სამტრედიის მერი ვიყო" _ ასეთი სახელწოდების გახლდათ პროექტის ეს აქტივობა. ანზორ მეგრელიშვილი და გიგა გლუნჩაძე ხელმძღვანელობენ პროექტს, სამტრედიაში კი ლუკა ტუღუში და ბაია თოდუა უდგანან სათავეში ამ კუთხით დაინტერესებულ ახალგაზრდებს.

თითქმის ერთსაათიანი პროგრამა გაჯერებული იყო ქართული ფოლკლორითა და თანამედროვე მუსიკის ნიმუშებით, ცეცხლოვანი ცეკვებითა და დეკლამაციით. გაიხსენეს გალაკტიონი, ნიკოლოზ ბარათაშვილის 200 წლის იუბილეზეც თქვეს სხვადასხვა საჯარო სკოლების მოსწავლეებმა და ბევრი საინტერესო იდეაც გაახმიანეს, თუ როგორ მოიქცეოდნენ, რა პრიორიტეტებს გამოკვეთავდნენ სამტრედიის მერად ყოფნის შემთხვევაში.

_ სამტრედია ველოსიპედების ქალაქია, ველოსიპედი ერთ-ერთი უსაფრთხო, ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტია, მე რომ მერი ვიყო, ველოტრასებს მოვაწყობდი, შესაფერის ინფრასტრუქტურას განვავითარებდი და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას ამგვარად შევუწყობდი ხელსო. _ აღნიშნავდნენ ერთნი და ცნობებსაც გვაწვდიდნენ, პირველი ორბორბლიანი ველოსიპედი სამტრედიაში დიდმა ერისკაცმა, ნიკო ნიკოლაძემ რომ შემოიყვანა.

ზაფხულში გაჩენილმა ხანძრებმა საშინლად დააზარალა გარემო, ამდენად, როგორც არასოდეს, ისე ვიზრუნებდით ცარიელი ადგილების გამწვანებაზეო, _ დააფიქსირეს.

ბალნეოლოგიური კურორტისათვის ადრინდელი დიდებისა და სტატუსის აღდგენა, გენო გეგეშიძის ქუჩაზე ყოფილი კინოთეატრის განახლება, ახალ-ახალი ფილმების ჩვენება და შთაბეჭდილებების გაზიარების პრაქტიკის აუცილებლობა _ ერთი სიტყვით, სჩანდა, რომ მართლაც ბევრი და კარგადაც უფიქრიათ ახალგაზრდებს, ვიდრე 8 დეკემბერს მათ ნააზრევს საზოგადოებას გააცნობდნენ.

"მოხარულნი ვართ, თუ მსგავსი პროექტები ერთჯერადი არ იქნება და მასში უფრო მეტი ახალგაზრდა ჩაერთვება მერია, შესაბამისი სამსახურები ახალგაზრდების გვერდით ვიქნებით საჭირო რჩევებითა და თანადგომით". _ განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა მიხეილ ლეჟავამ.

"კარგია, კიდევ უფრო კარგი იქნება, თუ მეტი ახალგაზრდა ჩაერთვება მსგავს პროექტებში, დამოუკიდებლობას მიეჩვევიან ახალგაზრდები". _ კომენტარი გააკეთა საკრებულოს წევრმა ლიზა კრავეიშვილმა.

პროექტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა გიგა გლუნჩაძემ მადლობა მოახსენა სამტრედიელებს მხარდაჭერისათვის.

თავად საღამოს მონაწილე სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეებსა და პროექტის სამტრედიელ ხელმძღვანელებსაც არ დავიწყნიათ სამადლობელი სამტრედიის მერის ვალერიანე ფოცხვერიასა და მერიის შესაბამისი სამსახურებისადმი თანადგომისა და ყურადღებისათვის.

"ყველაზე დიდი დღესასწაული სუფთა სინდისია"

ნათია ნაცვლიშვილი

ეს სიტყვები მეოთხე ბაგა-ბაღის პედაგოგმა მარინა კაკაბაძემ უწმინდესის საშობაო ეპისტოლედან მოიხმო, მისი აღსაზრდელებისათვის ახალი წლის დღესასწაული რომ მიელოცა. სანახაობრივად ულამაზესი და შინაარსით დატვირთული ღონისძიებები ამ ბაგა-ბაღს არასოდეს აკლდა. სცენაზე თეთრი ნაძვის ხე ორიგინალურობდა, თეთრი ფიფქები რომ მოესხა ტანთ. ულამაზესი კოსტიუმები ამშვენებდა სასკოლო მზაობის ჯგუფის ყველა აღსაზრდელს. "მაკნ-

ატუნას" საშობაო ზღაპრიდან ეპიზოდი გაითამაშეს, ამ პატარებმა ძალზე საინტერესო მისიას გაართვეს თავი აღმზრდელისა და მისი თანაშემწეების ლიკა შუბლაძისა და ნანა ჟვანიას დახმარებით. მათ საახალწლო ტრადიციები წარმოგვიდგინეს ამერიკასა და საქართველოში. ორასიოდე წლის ხის გობზე დაწყობილ ტკბილეულობას და საშობაო ღვეზელს, ღვინით სავსე ქართულ ფიალას და კალანდის განუყრელ ატრიბუტს _ ქართულ ჩიჩილაკს, ამ პატარების ციცქნა ხელებმა, სხვაგვარი შინაარსი და დატვირთვა მიანიჭეს. ჩოხაში გამოწყობილი საბა გრიგოლია ღირსეულ ქართველ მეკვლეს განასახიერებს. ამ ყველაფრის თანმდევი კი "ალილოა". ინტერიერის ნაწილია იატაკზე დადებული გულები, მარინა მასწავლებელმა ისევ შეახსენა ბავშვების მშობლებს უწმინდესის სიტყვები, რომ უფლისათვის ყველაზე ძვირფასი ძღვენი ალალი, განწმენდილი გულია, აღზარდეთ შვილები ეკლესიურად, რათა ეს უმანკო გული ცხოვრების ბოლომდე გაჰყვეს. _ მიმართა მან მშობლებს და მათ ასევე გადასცა ათი მცნება დედებისათვის. მერე პატარებმა ტკბილეულის სამეფოში საშობაო მეჯლისზე გადაინაცვლეს, სადაც ერთმანეთს ენაცვლებოდა ფერიების კონკურსი, ფიფქიების ცეკვა, შტრაუსის ვალსი და მეჯლისის ყველაზე გამორჩეული ნომერი მხატვრულ ტანვარჯიშში, რომელიც ბარბარე ფირცხალაიშვილმა შეასრულა. კიკინებიანი სასწაული _ ასე უწოდა პედაგოგმა ბარბარეს. მასთან ერთად კი პუბლიკა გეგა ქართველიშვილმა გააოცა. განსაკუთრებულად ემოციური კი იყო ცხრაკლიტულში გამომწყვდეული კონკიას (ბარბარე ხაჟალია) მეჯლისზე გამოჩენა, პედაგოგმა ბიჭებს და გოგონებს დიპლომები და ქების სიგელები გადასცა. ამ აღსაზრდელებს, რომელთაც ამერიკული ახალი წლის ტრადიციების შესახებ იციან, საახალწლო საჩუქრები ამერიკიდან გამოუგზავნეს მეგობრებმა ალექსანდრამ და ქეთევანმა. მერე ჩვენი ტრადიციული თოვლის პაპა ესტუმრა პატარებს და საოცრად გაახარა საჩუქრით, რომელიც ულამაზესი შეფუთვითაც გამოირჩეოდა. ნომინაციაში _ "ორიგინალური წერილი თოვლის პაპას" გაიმარჯვა დაჩი შენგელიამ, რომელსაც დედიკო დაეხმარა. მარინა მასწავლებელმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელობას და მუნიციპალიტეტის გამგეობას საუკეთესო საჩუქრისათვის. მეოთხე ბაგა-ბაღის მმართველი, ნანა დუნდუა: " მინდა ახალი წელი მივულოცო ყველა ქართველს, ბავშვებს ვუსურვო ჯანმრთელობა და სიკეთე, ჩვენს საახალწლო კვირეულში 380 ბავშვამდე ღებულობს მონაწილეობას, სულ 15 ჯგუფია, მინდა დიდი მადლობა ვუთხრა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და სკოლამდელ გაერთიანებას ულამაზესი საჩუქრების გამო, მადლობა ყველა პედაგოგს, ბავშვებს, პირველი ღონისძიება მარინა კაკაბაძის ჯგუფმა გახსნა, როგორც ყოველთვის, ძალიან კარგები იყვნენ, მადლობა აქტიური მუშაობისთვის ჩვენს მეთოდისტებს მარინა

ქოჩოვსა და მარინა ბაღდავაძეს, მადლობა "სამტრედიის მაცნეს", მეისტორიეს ჩვენი მუნიციპალიტეტისას, რომელიც მუდამ გვერდით გვიდგას და აშუქებს ჩვენს საქმიანობას, ასევე, მადლობა ტელეკომპანია "ზარს", თანადგომისათვის. მშობლებს მინდა განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა, ეს ახალი წელი ყველასთვის ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს."

"ლიბერალური ხაზი" საინფორმაციო ცენტრში

ნინო ნანიტაშვილი

9-10 დეკემბერს სამტრედიაში სტუმრად იმყოფებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაცია "ლიბერალური ხაზის" წარმომადგენლები: მარი ბერაძე, იოსებ ძამუკაშვილი, ირაკლი იაგორაშვილი და ფილოსოფოსი დავით ზურაბიშვილი. შეხვედრა "შვედეთის საერთაშორისო ლიბერალური ცენტრისა" და "ლიბერალური ხაზის" ერთობლივ პროექტს წარმოადგენს. თემა გახლდათ ახალგაზრდების ჩართულობა პოლიტიკის შემუშავების პროცესში. ლექცია-სემინარების მიზანი მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ახალგაზრდებთან ერთად საზოგადოებაში არსებული მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაა. "მნიშვნელოვანია ახალგაზრდების წახალისება და სტიმულირება, გააქტიურება, ასევე ლიბერალური ღირებულებების შესახებ საუბრები". _ აღნიშნა მარი ბერაძემ.

ორგანიზაცია ერთი წლის განმავლობაში იმერეთის 12 მუნიციპალიტეტში შეხვდება ახალგაზრდებს და საბოლოოდ დადებს ოფიციალურ დოკუმენტს, რომელიც ახალგაზრდების პოლიტიკაში ჩართულობის ხარისხს განსაზღვრავს.

"სამტრედიის მაცნემ" კომენტარი სთხოვა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის დირექტორს. სოფიო კირთაძისთვის პრიორიტეტული ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავება და ამ მიმართულებით ნაბიჯების გადადგმაა: "სწორედ ახალგაზრდების გააქტიურებით, მათთან ერთად არსებული პრობლემების იდენტიფიცირებაა და შემდგომ მისი მოგვარება. ვთვლი, რომ ჩვენი მომავალი თაობის ჩართულობით უნდა განვსაზღვროთ და შევიმუშავოთ სამოქმედო გეგმები. ვფიქრობ, რომ სწორედ ეს არის სახელმწიფო ხედვა და მზად ვარ, ვიმოქმედო მის ფარგლებში".

საქართველო საპატიო სტუმრის სტატუსით

ლევან გაბეჩავა

მიმდინარე წელი განსაკუთრებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობათა აღიარების კუთხით.

ჯერ კიდევ 2014 წელს გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობის ხელმძღვანელობას შორის, რომლის თანახმადაც, 2018 წელს საქართველო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე სტუმრის სტატუსით წარსდგება.

კიდევ ერთი დიდი აღიარებაა, ზოგადად, ქართული კულტურისა, ქართული წიგნისა, ქართული ინტელექტისა.

და მაინც რა არის, რა მასშტაბები აქვს ბაზრობას?

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობას 500 წლიანი ისტორია აქვს და ყოველი წლის ოქტომბერში იმართება. ბაზრობა 5 დღის მანძილზე მიმდინარეობს. 100-მდე ქვეყნის 7 000-ზე მეტ მონაწილეს საშუალება ეძლევა შეხვდნენ თავიანთ საერთაშორისო პარტნიორებს, დაამყარონ და განავითარონ საქმიანი ურთიერთობები.

ყოველწლიურად ბაზრობა 300 000-მდე ვიზიტორს მასპინძლობს და 400 000-მდე წიგნს გამოფენს.

აღსანიშნავია ისიც, რომ წიგნის ეს ბაზრობა ყველაზე პრესტიჟული და დიდი საერთაშორისო ღონისძიებაა არა მარტო ლიტერატურულ და საგამომცემლო, არამედ, ზოგადად, კულტურულ სფეროში.

ამჟამად აქტიურ ფაზაშია ქართული წიგნების გერმანულად თარგმნისა და გერმანულენოვან ქვეყნებში გამოცემის პროცესი.

კარსაა მომდგარი ახალი 2018 წელიც, აუცილებელია და მისასალმებელი იქნება თუ საქართველოში, მის ყველა რეგიონსა და მუნიციპალიტეტში შემუშავდება ერთიანი პროგრამა, რაც ხელს შეუწყობს მასებში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში წიგნისა და წიგნიერების პოპულარიზაციას.

მკითხველის წერილი

"საზარელმა მკვლელობამ უნდა გამოგვაფხიზლოს"

ვკითხულობთ "კვირის პალიტრაში".

როგორ? რანაირად? _ ისმის კითხვა? კანონები შემოიღეს, ბავშვებს მასწავლებელი ბოდიშებით უნდა ელაპარაკოს. მასწავლებელმა მკაცრად თუ მიუთითა ბავშვს თავის უზნეობაზე, მშობელი შავ დღეს აყენებს. ყველამ უნდა იცოდეს, რომ მასწავლებელი მოსწავლის აღმზრდელია და არა მტერი! ასევე, მშობელი თუ მკაცრად ითხოვს შვილისგან წესრიგს, ბავშვმა რომ უჩივლოს, დასჯიან. მოზარდს ყოველდღე ესმის, ვინ მოკლეს, ვინ დაჭრეს, ვის სცემეს, ვინ გააუპატიურეს.

ზოგ ბავშვს მშობლები არა ჰყავს, ზოგს მარტო დედა ჰყავს, ისიც დაკავებულია საოჯახო საქმეებით. ზოგის მშობლები საზღვარგარეთ არიან. ზოგიერთის მშობლები, ერთმანეთთან დაპირისპირებულები, უკადრისი სიტყვებით ამკობენ ერთმანეთს, რასაც ყოველდღიურად ისმენს ბავშვი. ზოგი ბავშვი მდიდრულად ცხოვრობს ზოგსაც ცხოვრება უჭირს. ისინი ერთად სწავლობენ და მათ შორის ეკონომიკური სხვაობის გამო ურთიერთპატივისცემა და სიყვარული ნაკლებად იგრძნობა. ამიტომ კარგია, სკოლაში ყველას სკოლის ფორმა ეცვას.

სწორედ ეკონომიკური სხვაობის გამოც, ბავშვების ერთი ნაწილი გამეტიჩრებულია, ზოგიც დაბოღმილი, არ იციან უფროს-უმცროსი. მასწავლებელი თუ გაუჯავრდა, მომზადებული აქვთ ტელეფონები და აფიქსირებენ მის სიბრაზეს.

აქ ყველა ბავშვს არ ვგულისხმობ, უმრავლესობა ყურადღებითა და პატივისცემით ეპყრობა მასწავლებლებს, მშობლებს, უფროსი ასაკის ადამიანებს. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ეს ასე არ იყოს. ჩვენც ვიყავით პატარები და თუ რამეს დავაშავებდით პასუხს გვთხოვდნენ როგორც სკოლაში, ასევე სახლში. არასდროს გამიგონია, ბავშვმა ბავშვი მოკლა. თუ იჩხუბებდნენ, მეორე დღეს შერიგდებოდნენ. ახლა კი საქმის გარჩევები მიმდინარეობს.

ეს ყველაფერი იმან განაპირობა, რომ ტრადიციები აღარ მოსწონთ ამ "ზედმეტად განათლებულ" ხალხს. მოსაწონია თუ არა, ყველაფერი საზღვარგარეთული, მათთვის მისაღებია. ისიც, ჩოხიანები, რომ დაქორწინდნენ. ღმერთის წყალობით კიდევ ბევრნი არიან, ტრადიციებს რომ არ ივიწყებენ.

ჩემი შეხედულებით გამოსავალი ერთია: კვირაში 2 დღე პირველ გაკვეთილს უნდა ატარებდეს ფსიქოლოგი, რომელმაც უნდა ასწავლოს ბავშვებს სკოლისა და ქვეყნის სიყვარული, რომ მასწავლებლების მიმართ იყვნენ მოკრძალებულნი, მშობლების დამჯერე და ყურადღებიანი. არ უნდა დაარღვიონ წესრიგი, ქუჩაში გადავიდნენ გადასასვლელებზე. ბავშვი დროულად უნდა მიდიოდეს სკოლიდან სახლში და გულმოდგინედ სწავლობდეს გაკვეთილებს. მან უნდა შეისწავლოს სამოქალაქო კულტურა და წესრიგი. რა შეღავათია სწავლობდეს და იყოს უზრდელი და მისგანს ჩამოყალიბდეს განათლებული თავხედი.

პატივისცემით
არჩილ ქიქინაძე

„ლამპარში" ცვლილებები ყოფილა გამართული

ნათია ნაცვლიშვილი

განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის სამტრედიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დღის ცენტრის ''ლამპარი'' ბენეფიციარებმა საახალწლო ღონისძიებას უმასპინძლეს. როგორც დღის ცენტრის წარმომადგენლებმა სოფო კუპატაძემ და ლია კილაძემ განაცხადეს, ეს ერთგვარი შემაჯამებელი ღონისძიება იყო. მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს, ორგანიზაცია ''წითელი ჯვრის'' და ყველა იმ სტრუქტურის წარმომადგენლები, რომლებიც გარკვეულ დახმარებას უწევენ დღის ცენტრს.

ლია კილაძემ აღნიშნა: ''სულ ოთხი დღის ცენტრი გვაქვს, 2009 წლიდან დავიწყეთ ფუნქციონირება და მუდმივად ვგრძნობთ ყოველი თქვენგანის მხარდაჭერას, შშმ პირთა სოციალურ ინტეგრაციაზე რომ ვლაპარაკობთ, ამ საკითხში გადამწყვეტი როლი საზოგადოების კეთილგანწყობას ენიჭება.''

სოფო კუპატაძე: ''ძალიან მნიშვნელოვანია სხვადასხვა სექტორის ჩართულობა ჩვენი წარმატებული მუშაობისათვის, ჩვენს დღის ცენტრებში ქუთაისში, თერჯოლასა და საგურამოში არიან ბენეფიციარები 6-დან 18 წლამდე, ვუზრუნველვყოფთ მათ ადგილზე მოყვანას და დღის ბოლოს შინ წაყვანას, ჩვენს ბენეფიციართათვის მნიშვნელოვანია აკადემიური და ფუნქციური უნარების განვითარება, გვინდა განვახორციელოთ კარიერული ორიენტაციის, პროფესიული განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა. ამ მიმართულებით 14 წლიდან მათთან დავიწყებთ მუშაობას, პროგრამა ითვალისწინებს ფსიქოლოგისა და ოკუპაციური თერაპევტის მომსახურებას. კვირაში ერთ დღეს სხვადასხვა სტუმარს მოვასხამთ მეზღაპრის მანტიას, რომელიც ბავშვებს უკითხავს ზღაპრებს. გარდა სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსებისა, ვთანამშრომლობთ ბიზნესთან, ადგილობრივ თვითმმართველობებთან, ბევრი ადამიანი ქველმოქმედებას გვიწევს და ანონიმურობის დაცვას გვთხოვს. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ''კრისტალი'' გვპირდება, რომ დაგვეხმარება ამ ცენტრის გაზიფიცირებაში.''

დღის ცენტრის ხელმძღვანელებმა დიპლომებითა და ბავშვების მიერ მომზადებული ნახატებით დაასაჩუქრეს: წმინდა მოწამე ნაზარი ლეჟავას სახელობის სკოლა, პირველი საჯარო სკოლა, წითელი ჯვრის საზოგადოება, სოციალური მუშაკები, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო, გამგეობის სოციალური სამსახური, პირველი ბაგა-ბაღი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, მაჟორიტარი დეპუტატის ბიურო. განსაკუთრებული მადლობა დეპუტატ გია მიქელაძეს გადაუხადეს იმის გამო, რომ საკუთარი ხელფასიდან გადასცემს თანხას დღის ცენტრ ''ლამპარის'' პედაგოგებს. საჩუქრით ეწვია დღის ცენტრს ბიუროს წარმომადგენელი თინა ხარძიანი. ''ლამპარში'' ''საჭიროებების ნაძვის ხეც'' იყო წარმოდგენილი, სამომავლოდ კეთილ ადამიანებს შეუძლიათ, დახმარებაც გაუწიონ ბავშვებს.

ბავშვებმა თოვლის ბაბუას მოლოდინში იმღერეს, იცეკვეს, ლექსები თქვეს, მერე თოვლის ბაბუამ ხურჯინიდან საჩუქრები ამოალაგა და გაახარა ისინი. დღის ცენტრის ახალგაზრდებს ახალი წელი მიულოცა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურიამ და მადლობა გადაუხადა ცენტრის ხელმძღვანელობას სასიკეთო საქმის წარმატებული განხორციელების გამო. ასევე მადლობა გადაუხადეს პედაგოგებს, რომელთა შრომა მართლაც დასაფასებელია.

"ერთად ვიკითხოთ წიგნები"

ნინო ნანიტაშვილი

ადაპტირებული წიგნების პრეზენტაცია გაიმართა მე-3 საჯარო სკოლაში. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში 4 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა. პროექტი "ერთად ვიკითხოთ წიგნები", რომლის მიზანს წარმოადგენდა რეპატრირებული მესხი ახალგაზრდების თანატოლებთან სოციალიზაცია. პროექტი ასევე ითვალისწინებდა მესხ მოსწავლეებში კითხვის მოტივაციის ამაღლებას.

პროგრამის ფარგლებში მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეებსა და იანეთში მცხოვრები რეპატრირებული მესხი ახალგაზრდების თანამშრომლობა რამდენიმე წელია ხორციელდება. პროექტი წელს პირველად დაფინანსდა.

პროგრამის ფარგლებში მოხდა შერჩეული 5 ნაწარმოების, ო, ჰენრის "უკანასკნელი ფოთოლი", ზიგფრიდ ლენცის "ღამე სასტუმროში", ოსკარ უალდის "თავკერძა გოლიათი" და "ბედნიერი უფლისწული", ჯეკ ლონდონის "მაწანწალა და ფერია", ადაპტირება სამტრედიის საჯარო სკოლებში განთავსებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის. პროექტის მონაწილე ბავშვებმა გაამარტივეს ზემოაღნიშნული ნაწარმოებების ტექსტები, შექმნეს ილუსტრაციები და დაბეჭდეს წიგნები, რომლებიც იმ საჯარო სკოლებს გადაეცათ საჩუქრად, სადაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებია რეგისტრირებული.

პროექტის, "ერთად ვიკითხოთ წიგნების" შემაჯამებელი ღონისძიება მე-3 საჯარო სკოლაში 12 დეკემბერს გაიმართა, რომელსაც ესწრებოდა სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამის კოორდინატორი ლელა ცქიტიშვილი და ტექნიკური მენეჯერი გრიგოლ ვარდოსანიძე.

კოორდინატორი სასიამოვნოდ გაოცებული დატოვა პროექტის ხელმძღვანელის, ლამზირა თევზაძის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებამ, სადაც ადაპტირებული 5-ვე ნაწარმოების გმირების მონოლოგი იყო წარმოდგენილი. ლამზირა თევზაძე, მე-3 საჯარო სკოლის პედაგოგი, პროექტის კოორდინატორი: "პროექტის დასრულების შემდეგ გაიზარდა მოსწავლეებში წაკითხული წიგნების რაოდენობა, ისწავლეს გაზრდული კითხვა, შინაარსის მიხედვით ილუსტრაციების შექმნა, გაეცნენ წიგნის სტრუქტურას, დამეგობრდნენ სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები. მთავარი მაინც სხვისთვის დახმარების გაწევა, სიკეთის კეთება იყო, ე. ი. პროექტი შედგა.

ღონისძიებას მეტი ეფექტი შესძინა მონაწილე ბავშვების კოსტიუმირებულმა წარმოდგენებმა. ცალკეულ პერსონაჟს თავისი გმირის დამახასიათებელი ჩაცმულობა ჰქონდა, რითაც მაყურებლამდე უკეთესად მიიტანა ძირითადი სათქმელი.

ღონისძიებას მაღალი შეფასებები მისცეს სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მთავარმა სპეციალისტმა ალექსანდრე თევზაძემ, მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ, პროკურორმა მარიამ მელაძემ, მე-3 საჯარო სკოლის დირექტორმა ვენერა ივანიშვილმა. ყველა მათგანმა აღიარა, რომ პროექტის ხელმძღვანელმა, ლამზირა თევზაძემ საუკეთესოდ შეძლო, მონაწილე ბავშვების შესაძლებლობები მაქსიმალურად წარმოეჩინა. ადაპტირებული წიგნები, რომლებიც უშუალოდ ლამზირა თევზაძის ხელმძღვანელობით მომზადდა, დახმარებას გაუწევს იმ პედაგოგებს, რომლებიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობენ.

ეროვნული მოძრაობის ისტორია სამხრეთში

“მამა ძალიან მიყვარხარ, კაცმა ცხოვრებაში ყველაფერი უნდა გამოსცადოს”

ნათია ნაცვლიშვილი

ჯონი ნადირაძე თავად არის ეროვნული მოძრაობის მოარული ისტორია, მის თავზე ყველა იმ უკუღმართობამ გადაიარა, რაც სამოქალაქო ომის წლებმა დაგვატეხა თავს ვონწართმეულ ქართველებს, ბარიკადების სხვადასხვა მხარეს აღმოჩენილთ. წლების მერე უცრემლოდ ვერ ისმენ ამ ისტორიებს, გეტირება არამარტო იმაზე, თუ როგორ “ ჩაუშვა” თანამოქალაქემ და დააჭრინა პატრიოტი კაცი, როგორ მიაკერეს ქვეყნის მტრის სტატუსი, იმაზეც გეტირება, რომ რუსის ტყვეობისგან უცნობმა მხედრიონელმა იხსნა. კიდევ ბევრ ემოციურ ამბავს გაიხსენებს ღირსეული ადამიანი, კაბინეტშიც ეროვნული გმირის პორტრეტი აქვს, ელგუჯა ახობაძის მიერ შესრულებული. დააბიჯებს ქალაქის ქუჩებში ქვეყნის ბედზე მოფიქრალი, თავად ქალაქის სინდის- ნაშესი, ხელმძღვანელობს მადლიან საქმეს_ წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძრის კომპლექსის მშენებლობას. ამ ტაძარს საფუძველი სწორედ ეროვნული მოძრაობის ლიდერების ინიციატივით ჩაეყარა. 18 წელია ჯონი ნადირაძე ტაძრის ეზოში იღვწის და შრომობს. ინტერვიუ ძველ ვაგონში განთავსებულ მის სამუშაო კაბინეტში შედგა.



_ ბატონო ჯონი, ეროვნულ იდეალებთან, ალბათ, თქვენი დაახლოება გაცილებით ადრე მოხდებოდა, ვიდრე ეროვნული მოძრაობის ძლიერი ტალღა სამხრეთიამდე გადმოინაცვლებდა...

_ ვისაც წიგნის კითხვა, ქვეყნის ისტორია, პროზა და პოეზია უყვარს, არ შეიძლება, ეროვნულად არ აზროვნებდეს. პატარაობიდან მიკვირდა, რატომ გვქონდა ერთი პატარა და მეორე დიდი სამშობლო _ საბჭოთა კავშირი. ჩემზე უდიდესი გავლენა იქონია მიხეილ ჯავახიშვილის და კონსტანტინე გამსახურდიას რომანებმა, ილიას, განსაკუთრებულად აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის პატრიოტულმა ლექსებმა. არ შეიძლებოდა არ გეოცნება შენი ქვეყნის დამოუკიდებლობაზე, ეს განუხორციელებელ ოცნებად ჩანდა, 70-იან წლებში საბჭოთა კავშირი (იმხანად ბრეჟნევი იყო ხელმძღვანელი) შეუერთდა ჰელსინკის ხელშეკრულებას და გაჩნდნენ პირველი უფლებადამცველი ორგანიზაციები. ეს დიდი საოცრება იყო, უკვე გახმაურდა ხელახლა ზვიად გამსახურდიას სახელი, სტუდენტობისას მესმოდა მის შესახებ. უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი დავამთავრე პოლიტიკური ეკონომიის განხრით, ეს კარგად მახედებდა პოლიტიკურ საკითხებში. ჩემს უმცროს მეგობარს, აწ განსვენებულ თეიმურაზ ნუცუბიძეს მუდმივი კავშირი ჰქონდა ჩემთან, ის და თემურ ქორიძე ზვიად გამსახურდიასთან ერთ ოთახში ისხდნენ ლიტერატურის ინსტიტუტში. ის მთხოვდა კიდეც, თბილისში ჩავსულიყავი და მიმეღო მონაწილეობა თვითგამოცემებში. რაღაც მიზეზთა გამო, ვერ ჩავედი. ზვიადი ეძებდა სანდო და დასაყრდენ ადამიანებს. მაგალითად წამაკითხეს მათ მიერ დაბეჭდილი სტატია გენერალ შალვა მაღლაკელიძეზე, ის იყო დამოუკიდებელი საქართველოს ყველაზე ახალგაზრდა გენერალი. ის წავიდა გერმანიაში, გერმანელებმა ქართველთა ტყვეებით შემდგარ არმიას დაუყენეს სარდლად და კავკასიონთან იყო მოსული, როგორც იმათი სარდალი. მართალია, არ უბრძოლია, არ ენდნენ გერმანელები მას. ის იყო დიდ პატრიოტად წარმოდგენილი, მაგრამ ასეთი გაორებული პიროვნებების მაგალითად წარმოდგენა ერისათვის არ იყო მთლად გააზრებულად გაკეთებული ზვიადის და მერაბის მიერ, რომელთაც უდიდეს პატივს ვცემდი. რაღაც მომენტებმა თავი შემაკავებინეს. დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში ჩემს მოსწავლეებს მუხრანის პატრიოტულ ლექსებს ვუკითხავდი, მათ, რომლებიც მომავალ ბრძოლაში გვერდით დგებოდნენ. რომ მოსალოდნელი იყო ბრძოლა, ვგრძნობდი. მაგრამ არავინ იცოდა, ეს დღე როდის დადგებოდა. 9 აპრილი გახდა კატალიზატორი ამ მოძრაობის აზვირთების. გაიმართა შიმშილობის აქცია, აღინიშნა 9 აპრილს დაღუპულთა მეორმოცე დღე, სამტრედიიდან ფეხით მსვლელობა მოეწყო ჭაგნის ღვთისმშობლის შობის ეკლესიაში, ერთადერთ მოქმედ ტაძარში. უკვე მქონდა გარკვეული კონტაქტები ამ აქციების ორგანიზატორ ახალგაზრდებთან. 26 მაისს პირველი დიდი მიტინგი გაიმართა, რომელიც წაიყვანა თემურ ქორიძემ, მიტინგს ხელმძღვანელობდა დახვეწილი ინტელიგენტი, ღრმად განათლებული ბატონი ოთარ შანიძე. 9 აპრილის მერე რეგიონებში გადადის ეროვნული მოძრაობის ტალღა. აქ ილია მართლის, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებები და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ფუძნდება, ამათგან ყველაზე ძლიერი გამოდგა ილია მართლის საზოგადოება. მას წინამძღოლობდნენ ავთანდილ ადეიშვილი, ზვიად ძიძიგური და სოსო შუბლაძე. ზვიადს წამყვანის მისია დაეკისრა, იყო ყველა აქციის ორგანიზატორი, რასაც არაფორმალური ორგანიზაციები მართავდნენ. ჩვენი პირადი გაცნობა მოგვიანებით მოხდა. ეროვნული ფრონტის წარმომადგენელის სახელით კულტურის სახლში ინფორმაციული შეხვედრა ლანა ღოღობერიძემ გამართა, ამ შეხვედრიდან გამოსულს მომიახლოვდა ახალგაზრდა კაცი და მითხრა, გამარჯობა, თქვენ ხომ ჩვენი ოპონენტი ჯონი ნადირაძე ხართო. იმხანად თქვენი გაზეთით კრიტიკულად გამოვეხმაურე მათ მიერ რკინიგზის გადაკეტვას (არ ვგულისხმობ არჩევნებთან დაკავშირებით რკინიგზის გადაკეტვას), სამგზავრო შემადგენლობები იყო გაჩერებული, მძიმე სიტუაცია შეიქმნა. მერე მოხდა ჩვენი დაახლოება, რამდენიმე დღის მერე ზვიად ძიძიგურმა მთხოვა, მათ შეკრებას დავსწრებოდი, მითხრა, ნახეთ, ვინ ვართ და რას ვაკეთებთო, ძველი სასტუმროს შენობაში, სამხატვრო გალერეაში იკრიბებოდნენ, მივედი და დავრწმუნდი, რომ ამ გულწრფელ ახალგაზრდებს სამშობლო ძალიან უყვარდათ, შეკრება ზვიად ძიძიგურმა დაიწყო ლოცვით. მათ აქციების გამართვის დროს დახმარება სჭირდებოდათ, ტრანსპორტის სამსახურს ვხელმძღვანელობდი. მერე რუსთაველის საზოგადოების არჩევნები ჩატარდა, ჩემი კანდიდატურაც დააყენეს თავმჯდომარედ. ეს ნამდვილად არ მინდოდა და კენჭისყრის წინ განვაცხადე, რომ მხარს ვუჭერდი აწ განსვენებული ავთანდილ ადეიშვილის კანდიდატურას. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემმა მიცემულმა ხმამ გაამარჯვებინა მას. ავთანდილ ადეიშვილმა თქვა, მოადგილე შენ იქნებიო. მალე საარჩევნო კამპანია დაიწყო. საღამოს ჩემთან სამსახურში, ავტოსატრანსპორტო გაერთიანებაში მოვიდა ზვიად ძიძიგური და მთხოვა, ამ საარჩევნო შეხვედრებს უხელმძღვანელეო. მართლაც დავთანხმდი, შეხვედრებს მე ვიწყებდი, მერე აგრძელებდნენ ზვიადი, ვანო მახარაძე, მიტო სტურუა და ბოლოს მოგეხსენებათ, არჩევნები ძალიან კარგი შედეგით დასრულდა.

_ “მრგვალი მაგიდის” ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ თქვენ ეკონომიკურ საკითხებს განაგებდით.

_ დიახ, კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი პრეფექტურაში გადასვლის, მაგრამ იყო ზვიადის უდიდესი ჯერ თხოვნა, მერე მოთხოვნა, პრეფექტურაში გადავსულიყავი. ყველა საკითხზე რჩევას ვაძლევდი, თუმცა ვთხოვდი, თანამდებობა არ მოეცა, ბრძოლა ქვეყნისათვის არ მიმდინარეობს იმისათვის, რომ თანამდებობა მიიღოს კაცმა, თანამდებობას მაშინ უნდა დასთანხმდე, თუ სხვა აუცილებლობა მოითხოვს.

_ სხვა ლიდერთა მსგავსად ხელში იარაღის აღება მოგიწიათ?

_ ჩემი იარაღი ყოველთვის იყო კალამი, ის ყველაზე მძლავრ იარაღად მიმაჩნია. არ ვდებ თავს დიდ კალმოსნად, მაგრამ გადატრიალების შემდეგ მეგობრებთან ერთად გაზეთიც გამოვეცი. 1993 წლის დასაწყისში შეექმენით კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება, რომლის ბეჭდვით ორგანოდ ოფიციალურად დავარეგისტრირეთ გაზეთი “ზარები გრიგალში”. ჩვენთან ერთად იყო ქალბატონი ნინო ტონია, მას ეკუთვნის გაზეთის სახელწოდება. გამოვუშვით 3 ნომერი, მერე მდგომარეობა ისე აირ-დაირია, მძიმე რეპრესიები დაიწყო და მეოთხე ნომერი 1995 წელს გამოვუშვით.

_ სამტრედიის დატოვებაც მოგიხდათ...

_ დიახ, 1993 წლის ოქტომბრიდან 1995 წლის ზაფხულამდე. ჯერ ორი თვით სვანეთში წავედი, შემიფარა ვალოდია ჭკადუას ოჯახმა სოფელ ლახამულაში. ოჯახის წევრებმა ერთი თვის განმავლობაში არ იცოდნენ, ცოცხალი ვიყავი თუ არა. სვანეთიდან გამომაცილა მასპინძელმა, ჯვართან რომ ჩამოვედით, გამსინჯავი პუნქტი ჰქონდათ რუსებს, იქ დამატყვევა რუსმა. საბუთები არ მქონდა, ვუთხარი, ლტოლვილი ვართქო და არ დამიჯერეს, ზუგდიდის შტაბში წამოდიო, მითხრეს, იქ კი ბევრი აღმოჩნდებოდა ისეთი, ვინც მიცნობდა. სხვათა შორის, იქ ერთმა სრულიად ახალგაზრდა ქუთაისელმა მხედრიონელმა გადამარჩინა, რომელიც მათთან ერთად მორიგეობდა. ის გაბრაზდა, რუსები რომ მაპატიმრებდნენ ქართველ კაცს.

სულ არ იცოდა, მე ვინ ვიყავი, მაგრამ იყვირა, იმისათვის კი არ ვიბრძვი, აქ რუსები ბატონობდნენო, ავტომატი ფეხზე შეუყენა რუსის მაიორს და მითხრა, აბა, ჩაჯექი ამ მანქანაში და წადიო. ვაპირებდი სამტრედიაში ჩამოსვლას, მატარებელს ცაისში ცეცხლი წაეკიდა, ღამე იქ გავათიე, გათენდა და ფეხით განვაგრძე გზა. ავტობუსში ჩემი ჩაჯდომა არ შეიძლებოდა, რუსები ავტობუსებს ჩხრეკდნენ. ფეხით ჩავედი ხობის რაიონის სოფელ ხორგაში უნივერსიტეტელ მეგობართან. მესამე დღეს, როგორც იქნა, გამოიარა მატარებელმა, ფოთამდე ჩამიყვანა მამიდასთან. იქ ჩამომაკითხეს დამ და მეუღლემ და მითხრეს, ჯობდა თბილისში წავსულიყავი. თბილისში უკვე დაწყებული იყო დემონსტრაციები, ერთ-ერთ დემონსტრაციაზე დამაპატიმრეს და მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციის წინასწარი დაკავების საკანში მომათავსეს. 26 მაისს მიტინგზე, კოლხური კოშის ეზოდან “მრგვალი მაგიდის” წარმომადგენლებს სურდათ მთაწმინდაზე მერაბ კოსტავას საფლავზე ასვლა, იქ გადაუკეტეს გზა ჩვენს კოლონას, იქ დამინახა ერომა სამტრედელმა და პოლიციას ჩემზე მიუთითა. (ღმერთმა გაანათლოს მისი სული. სხვათა შორის, ის დიდხანს მემალებოდა, მერე ვუთხარი, ნუ იმალები, არაფერია შე კაცო-თქო). ამას უთქვამს, რომ მე სამტრედია გადავბუგე, უამრავი ხალხი გავწყვიტე, რასაკვირველია, დამაპატიმრეს მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციისა და უშიშროების უფროსებმა, ორმა პოლკოვნიკმა. გამაფორმეს, როგორც უშიშროების დაკავებული. ვიცოდი, რომ ჩემზე სამტრედიაშიც საქმე იყო აღძრული და ძებნაში ვიყავი 1993 წლის ოქტომბრიდანვე. აქ რამდენიმე დღით რომ აღდგა ხელისუფლება და როგორც კი შემოვიდნენ ეროვნული ძალები, ზვიად გამსახურდიამ რაიონის მმართველად დანიშნა ზვიად ძიძიგური, რომელმაც მისი მოადგილეობა მთხოვა.

_ ჩვენმა გაზეთმა კანონიერი ხელისუფლების შემოსვლა გააშუქა, რის გამოც რედაქციის თანამშრომელთა ნაწილი დაითხოვეს...

_ იმ ნომრის ნახევარი ჩემი მომზადებული იყო, რედაქტორმა ნოდარ ნადირაძემ მითხრა, აქვე ვუშვებ გამსახურდიას ინტერვიუსო, მე მქონდა ზვიად ძიძიგურთან ინტერვიუ. ადგილობრივმა პროკურატურამ ჩემზე აღძრა საქმე და ამ ყველაფერს თბილისიდან მოვლენილი პროკურორი ჯიმი ერაძე კურირებდა. ჩემს ოჯახს კვირაში ერთხელ აკითხავდნენ და ოქმებს ადგენდნენ. მაშინ გენპროკურორი ჯამლეთ ბაბილაშვილი იყო. მის მოადგილე ანზორ ბალუაშვილს კი დავალებული ჰქონდა ე.წ. ზვიადისტების საქმეთა კურირება. თურმე ერაძეს შეუწყვეტია ჩემს მიმართ საქმე. მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის საკანში რომ ვიყავი, სამტრედიელებს დაუკავშირდნენ და აცნობეს. საკანში მითხრეს, სამტრედიელები მოვლენ და წაგიყვანენო. რამდენიმე დღე ჩემს ოჯახს არ შეატყობინეს ჩემს შესახებ, ჩემმა სტუდენტმა გოგონამ და დისშვილმა, სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტმა თეთრი ხალათით ყველა საავადმყოფოს პროზექტურა შემოიარეს... აი, ასეთი რამ გადაატანინეს ოჯახებს, არ დამარეკინეს სახლში. თუმცა ადამიანები იყვნენ ყველგან... მეორე დღეს მორიგეობდა პოლიციელი, რომელსაც დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმი ჰქონდა დამთავრებული. მოვიდა ჩემთან, გამომელაპარაკა. დამარეკინა სახლში და ვუთხარი ჩემებს: “გალსტუკი” წაიღეთ და ჯინსები და ბოტასები მომიტანეთ, ილიას მეოთხე ტომი გამოაყოლეთ-მეთქი. მეორე საღამოს ჯიმი ერაძე მაკითხავს და მეუბნება, მე ვიძიებ თქვენს საქმესო. _ ნამტანი კაი, რა ქენით მერე, გამოიძიეთ-თქო? თქვენ წარმოიდგინეთ, კიო. იქაური პროკურორის კაბინეტში შემიყვანა და გავისაუბრეთ. მერე ბოდიში მომიხადა, ახლავე უნდა გიშვებდეთ, მაგრამ უშიშროების დაკავებულად ხართ გაფორმებული და ვერ გიშვებთო, სამტრედიაში თქვენს საქმეზე ასზე მეტი კაცი დავკითხე და ცუდის მთქმელი ვერ ვნახეო, სამტრედიის გამგებელს და პროკურორს უკვე ყველაფერი ვუთხარიო. მითხრა, ვიდრე ბაბილაშვილი მობრძანდება და მასთან რაღაცეებს გავარკვევთ, მაცადეო. მესამე დღეს მომაკითხეს, მოვიდა ერაძე, მის მანქანაზე მიმითითა, დაჯექიო. ვხედავ, საჭესთან ზის სამტრედიელი კაცი, პროკურატურაში მუშაობდა გამომძიებლად, რომან მხეიძე. ის მანქანით წამოუყვანია ერაძეს. ერაძემ მითხრა, ბაბილაშვილმა მითხრა, ეს ვიღაც ნადირაძეა მომაშორეთ და ის მარლენ ცაცუაც მომაშორეთ, დღედაღამ კაბინეტში მიზისო. მარლენ ცაცუა ჩვენი ხელისუფლების პროკურორი იყო, თურმე იმ პერიოდში გენპროკურატურაში მუშაობდა და ჯამლეთის კურსელი ყოფილა, ჩემი დაპატიმრება რომ გაუგია, მისულა მასთან და უთქვამს: კაცო, ამ კაცის დაპატიმრება როგორ შეიძლებაო? აი, ჩემი ბრალდებები: სამშობლოს ღალატი, კანონიერი ხელისუფლების დამხობისკენ მოწოდება და რადგან გაზეთს ვუშვებდი, დამიმატეს პრესის საშუალებით ხელისუფლების დამხობისკენ მოწოდება. ერაძემ ჩათვალა, რომ სისხლის სამართლებრივი გადაცდომა არ იყო ჩემს საქმეში. მეუბნება, ბოდიში, რომ გაგაწვალეთო, შევხვდით ბალუაშვილსაც, მირჩიეს, სამტრედიაში არ წახვიდე, იქაურობას ვერ ვაკონტროლებთო. ერაძემ გამომაცილა და ტაქსისთვის საკმაო თანხა ჩამიდო ჯიბეში. ემოციებით ისე დავიტვირთე, ორთაჭალიდან გმირთა მოედნამდე ფეხით ვიარე. პურის რიგში მყოფმა ჩემმა გოგონამ დამინახა და იკივლა... ვინახავ მის წერილს, რომელიც საკანში გამომიგზავნა: “მამა, ძალიან მიყვარხარ, კაცმა ცხოვრებაში ყველაფერი უნდა გამოსცადოს, შენით ვამაყობ!”

_ ზვიადთან და მერაბთან ურთიერთობის დეტალებიც გაიხსენეთ...

_ ღალიძგასთან აფხაზებსა და ქართველებს შორის რომ შეტაკება მოხდა, მერაბმა არ გადაუშვა ჩვენები იქით მხარეს და არ გამოაყენებინა იარაღი, თორემ ძალიან ცუდი შედეგით დასრულდებოდა ეს ყველაფერი. საბჭოთა სპეცრაზმი იდგა იქ. მაშინ დამამახსოვრდა ეს კაცი, როგორც უდიდესი ავტორიტეტის მქონე. ვაჟკაცი კაცი იყო, ქეიფი უყვარდა, ბოლომდე დალევა, ქალებთან ურთიერთობა. რამდენადაც ვიცი, ზვიადი მას ამის გამო საყვედურობდა კიდეც. ზვიადი იყო ძალიან ორგანიზებული ადამიანი, რომელიც ზომიერებას არასოდეს გადადიოდა, აკონტროლებდა ყოველთვის თავის თავს. ზვიადი აქ 17 მაისს მრავალპარტიული არჩევნების წინ გვეწვია, ამ ეზოში შემაღლებულ სცენაზე მიტინგი ჩაატარა. მერე სუფრა გაიწყო კანდელაკების ოჯახში, თემურ ქორიძეს ის ყოველთვის მიჰყავდა დემურ კანდელაკისა და ინეზა ხომერიკის ოჯახში. ეს კულტურული ოჯახი იყო. მანამდე ზვიადი და მერაბი ერთად რომ გვსტუმრობდნენ, სუფრა სოსო შუბლაძის ოჯახში გაიშალა. ზვიადი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე რომ გახდა, უკვე სუფრებისთვის არ ეცალა. 1993 წლის ოქტომბრის ბოლოს ის ზუდგიდში ენახე შეძრწუნებული და დაფიქრებული, ძალიან კარგად გრძნობდა, რაც ელოდა, შეგნებულად არ წავიდა საქართველოდან, მას აქ სურდა აღსრულება, ძალიან კარგად იცოდა, რომ არაფერი კარგი აქ არ მოელოდა ფიზიკურად, მაგრამ ის წავიდა შეგნებულად ამ მსხვერპლზე. საერთოდ, მისი ცხოვრება იყო ქვეყნისათვის მსხვერპლშეწირვა. ეროვნული ხელისუფლების შეცდომებზე საუბრობენ. სამოქალაქო ომი რომ დაიწყო, ეროვნულ ხელისუფლებას თუ რაიმე ჰქონდა შეცდომა, ის იყო, რომ იარაღიან ხალხს, რომელიც თავის თავს ოპოზიციას ეძახდა, პასუხი არ გასცა. აი, ეს შეიძლება ჩაეთვალოს დანაშაულად. როცა იარაღიანი ხალხი იწყებს კანონიერი ხელისუფლების დამხობას, ესაა უკანონობა და უკანონობას კანონი უნდა დაუპირისპირდეს.

_ მაშინ ისტორიაში ვერ შევიდოდა გამსახურდია ჰუმანურ პრეზიდენტად...

_ ცნობილი ფაქტია, ზვიადს უთხრეს, სროლების გამო უშიშროების შენობაში ცეცხლი გაჩნდა და პატიმრები უნდა გადავიყვანოთ, იქ ჯაბაც არის და რა ვუყოთო. რა უნდა უყოთ, გაუშვითო, შეიძლება ბევრმა თქვას, არ უნდა გაეშვაო, მაგრამ მაშინ ის ზვიად გამსახურდია არ იქნებოდა!

ჩემი უნივერსიტეტი

შვილის ქარიზი სიყვარული ასწლოვანი მშობლის მიმართ

ლევან გაბეჩავა

– ჯერ კიდევ ახალი დაარსებული იყო თბილისის უნივერსიტეტი, როცა ჩემს მშობლებს განვუცხადე, უნივერსიტეტში უნდა ვისწავლო-თქო.

რომ იტყვიან, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა მამაჩემმა, რომელიც რკინიგზელი იყო და საკუთარი ცხენითა და გუთნით მიწასაც ებრძოდა.

უჭირდა ყველას, გვიჭირდა ჩვენც. არ იყო ადვილი ექვსსულიანი ოჯახის რჩენა.

მამის წინააღმდეგობის მიუხედავად, სოფელ კვირიკედან სამტრედიაში ჩამოვედი, რკინიგზის მეშვეობით დედაქალაქში აღმოვჩნდი და 20 დღის შემდეგ, მშობლიურ სოფელში უკვე სტუდენტი დავბრუნდი.

კოლექტივიზაცია, ინდუსტრიალიზაცია... ერთი სიტყვით, რთული დრო იყო. მეორე კურსზე ვიყავი, იურიდიულ ფაკულტეტზე (საბჭოთა სამართლისა და სახელმწიფოს აღმშენებლობის ფაკულტეტი ერქვა მაშინ) როცა შევიტყვე, რომ ხელმოკლე სტუდენტები, რომლებიც რაიონებიდან იყვნენ ჩასულები და ქირით ცხოვრობდნენ, ოჯახებისათვის ტვირთი რომ შეემსუბუქებიათ, თბილისში მუშებად, მტვირთავებად, ნახშირის, პურის გამყიდველებად მუშაობდნენ.

გორელი, ღვთისნიერი კაცი გავიცანი, რამდენიმე პურის საცხობი ჰქონდა, შევთანხმდით, სწავლის დაწყებამდე თბილისის ქუჩებში ტომარაში ჩალაგებული პური უნდა ჩამომეტარებია, დღის ბოლოს კი ერთ პურთან ერთად, გაყიდული საქონლის მიხედვით, თანხასაც მივიღებდი.

სული მოვითქვი.

ერთ დღეს, როცა ერთ სადარბაზოსთან სართულიდან ჩამოშვებულ კალათაში პური ჩავალაგე და ფულიც მივიღე, კორპუსიდან ნაცნობმა სახემ შემომცინა, უმალ ვიცანი ჩვენი პროფესორი, ბატონი შალვა ნუცუბიძე, ან რა ცნობა უნდოდა, იგი ხომ თითქმის ერთი წელი გვიკითხავდა ლექციას. მეორე თუ მესამე დღეს უნივერსიტეტში თავისთან მიხმო, პირობები გამომკითხა და მითხრა: მოწინავე სტუდენტი ხარ, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მოგაწყობ სამუშაოდ, წიგნებსაც იკითხავ, უნივერსიტეტის საქმესაც გააკეთებ და ჯამაგირიც გექნებაო. თავი სიზმარში მეგონა, ყურებს არ ვუჯერებდი.

...

ერთ დღეს პროფესორმა შალვა ნუცუბიძემ ბიბლიოთეკის თანამშრომლებს ჩემი თავი წარუდგინა.

სამი წელი უნივერსიტეტის დამთავრებამდე ვიმუშავე იქ, ბიბლიოთეკაში. პროფესორი ნუცუბიძე, რომელიც დღეში ორ-სამ საათს მაინც ატარებდა ბიბლიოთეკაში, ჩემი მუშაობით, პირობებით სისტემატურად ინტერესდებოდა. ეს ფოტოც მაშინაა გადაღებული, ბაბუ, – სიამაყით გვიყვებოდა უნივერსიტეტის წლებსა და პროფესორის კეთილშობილებაზე ბაბუა, რომელმაც უნივერსიტეტის შემდეგ 50 წელზე მეტი იმუშავა იუსტიციის ორგანოებში.

სურათი 1934 წლის მარტშია გადაღებული (ცენტრში ზის პროფესორი **შალვა ნუცუბიძე**) მარჯვნიდან პირველი დგას ამ ამბის მთხრობელი **გ. გაბეჩავა.**

უნივერსიტეტდამთავრებულ სხვა ადამიანებისგანაც მსმენია, რომ მაშინ პროფესორ-მასწავლებლები თავიანთ ადამიანურ მოვალეობად მიიჩნევდნენ, ისე ეზრუნათ ხელმოკლე სტუდენტებზე, როგორც შეეძლოთ.

„აღსარების" ჩაბარების ისტორიიდან...

ყველაზე შორეული დროის ყველა რელიგია წარმოგვიდგენს მონანიებისა და შეწყალების ცერემონიათა სხვადასხვა სახის ნიმუშებს. პირველყოფილ საზოგადოებაში წარმოდგენა „აღსარების" შესახებ განუყრელად გახლდათ დაკავშირებული თვით დანაშაულის გაგებასთან (ცოდვად მიიჩნეოდა ყოველივე ის, რაც ტომის კანონის დარღვევას წარმოადგენდა დანაშაულის ყოველგვარი მორალური შეფასების გარეშე). წმინდა ცხოველის ხორცის საკვებად გამოყენება, წარუმატებლობა ნადირობის ან თევზაობის დროს, საკუთარი კლანის ქალთან დაკავშირება, ტომის ერთ-ერთი წევრის მკვლელობა – ეს ყოველივე ცოდვად მიიჩნეოდა. ცოდვა რომ განდევნილიყო, საჭირო იყო ცოდვის ჩამდენს იგი ყველას გასაგონად ეღიარებინა ან გვარის ბელადს გამოეცხადებინა. ნიშანდობლივია, რომ მსგავსი წეს-ჩვეულებანი დღემდეა შენარჩუნებული აფრიკის, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკისა, აზიის, არქტიკის, მალაიზიისა და ოკეანიის ბევრ ხალხებში.



უძველეს ბაბილონში მომნანიებელი ვალდებული იყო, წარმდგარიყო შემლოცველის წინაშე, ეღიარებინა ჩადენილი ცოდვები, ან ის ცოდვები, რომლის ჩადენაც მას შეეძლო. ამ დროს ქურუმი ცოდვილს უკითხავდა დანაშაულთა გრძელ სიას. განწმენდის წეს-ჩვეულება ცერემონიით მთავრდებოდა. ახალი წლის დღეს მთელი ხალხის ცოდვები მაგიის დახმარებით ბებერ თხაში გადადიოდა, რომელიც შემდგომ ცოდვების ტვირთთან ერთად დასაკლავად მიჰყავდათ მოშორებულ ადგილზე. მოგვიანებით აღნიშნული წესი გავრცელებული იქნა ებრაელებშიც. თუმცა, ბაბილონელებისაგან განსხვავებით, ამისათვის დანიშნული იქნა ებრაელების ახალი წლის შემდეგ მეათე დღე, რაც თავის მხრივ, შემოდგომის დასაწყისს ემთხვეოდა. აღნიშნულ დღეს ებრაელები – „კიპურის დღედ", ანუ – „ცოდვების საზეიმო გამოსყიდვის დღეს" უწოდებდნენ.

ძველ ეგვიპტელებთან ვხვდებით სპეციალურ სააღმსარებლო წეს-ჩვეულებების აღწერას მიცვალებულებისათვის. ოსირისის მეთაურობით ღმერთების მნიშვნელოვანი შეკრების წინ, 42 მოსამართლის თანდასწრებით, რაც შეესაბამებოდა ძველი ეგვიპტის ოლქების რიცხვს. მომაკვდავ ეგვიპტელს უნდა ეთქვა; „მე ცოდვა არ ჩამიდენია, არ ვაიძულე ეტირნა და ეშიმშილნა, არ მომიკლავს" და ასე შემდეგ. დასასრულს სასწორზე წონიდნენ გარდაცვლილის გულს. თუ მომაკვდავის მიერ თქმული ყველაფერი მართალი იყო, მიცვალებულს გაამართლებდნენ და ის შედიოდა ოსირისის სამეფოში, თუ არა – მას ღმერთების სასჯელი ელოდა.

სპარსეთში აღსარება მომაკვდავს უნდა წარმოეთქვა განსაკუთრებით წმინდა თუ არაწმინდა კანონის დარღვევის შემთხვევაში. წეს-ჩვეულების დასასრულს აღსარების მიმღები ქურუმი სასიკვდილო სარეცელზე მყოფს ტუჩებზე რამდენიმე წვეთ ჰაომას (წმინდა სასმელს) აფრქვევდა, რაც დამამთავრებელ მირონცხებას ნიშნავდა. ეს ინდო-ირანული სასმელი სანსკრიტულ ენაზე – სომად იწოდებოდა. მას ამზადებდნენ წყალში, რძეში ან თაფლში ნარევი ერთ-ერთი მათრობელა მცენარის წვენით. სასმელს – „უკვდავების წამალს" ეძახდნენ.

ბუდისტებში ცოდვების საჯაროდ მონანიება ყველასათვის სავალდებულოა, ვინც კი ბერ-მონაზვნური ცხოვრების გზას დაადგა. ეს ცერემონია თვით ბუდას მიეწერება. აღსარების წეს-ჩვეულებას თვეში ორჯერ ასრულებენ, სავსე და ახალი მთვარის დროს, და მასში მთელი თემი მონაწილეობს. უხუცესი ხმამაღლა კითხულობს შეცოდებათა გრძელ სიას, სამჯერ მოუწოდებს თითოეულ დამსწრეს დაფიქრდეს და ცოდვები მოინანიოს. დუმილი წმინდა სინდისის ნიშანია.

ქრისტიანულ რელიგიაში ცოდვების მღვდელთან განმარტოებით მონანიებამ მხოლოდ შუა საუკუნეებში აიღო სათავე და თეოლოგიური და საწესდებო კურთხევა მიიღო 1215 წელს. ლატერანის IV კრების შემდეგ კურთხევის მსგავსი ფორმები ქრისტიანობამ პირველ საუკუნეებში სრულებით არ იცოდა. თუმცა კი მოქმედებდა საჯარო აღსარების პრაქტიკა. 789 წელს ფრანკთა მეფე – კარლოს დიდი შეეცადა თავისი იმპერიის მორწმუნეთა შორის ისეთი აღსარების ფორმა შემოეღო, რომლის მიღებასაც ყველა მღვდელი შესძლებდა თავისი მრევლისაგან. მაგრამ კიდევ რამდენიმე საუკუნე გახდა საჭირო, ვიდრე ეკლესია გადაწყვეტდა, რომ აღსარება ყოველი ქრისტიანისათვის სავალდებულო ქმედებად გაეხადა წელიწადში ერთხელ მაინც.

Genia.Ge

გვახსოვხართ!

ვენერა კაჭახიძე

ძნელია, მოსაგონარი დაწერო ადამიანზე, წლების მანძილზე უახლოესი ურთიერთობა რომ გაკავშირებდა.

ნახევარსაუკუნოვანი პედაგოგიური სტაჟის მქონე, მრავალი თაობის აღმზრდელი ღვაწლმოსილი პედაგოგი, ქალბატონი ვენერა კაჭახიძე ერთნაირად საყვარელი და პატივსაცემი პიროვნება გახლდათ მოსწავლეების, ყოფილი მოსწავლეებისა და საზოგადოებისათვის.

ეამაყებოდა საქართველოს დედა უნივერსიტეტში აკაკი შანიძის, ქსენია სიხარულიძის, კორნელი კეკელიძის, ნიკო კეცხოველის, გიორგი ჯიბლაძისა და სხვა სახელოვან, აღიარებულ მეცნიერთა, პროფესორ-მასწავლებელთა ლექციებს რომ ეწაფებოდა ხარბად.

უნივერსიტეტში მიღებულ ცოდნას კი უშურველად გადასცემდა მომავალ თაობებს.

მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი ოჯახი არ შეუქმნია, სიცოცხლის ბოლო დღეებამდე არ მოჰკლებია უახლოეს ადამიანთა პატივისცემა, სითბო, სიყვარული.

ვალმოხდილმა, დამაშვრალმა დაიკრიფა გულზე ხელები ექვსი თვის წინ, აქ დარჩენილებს კი, საოცარი სიცარიელე, სევდა და მწუხარება დაგვიტოვა.

დავიწყების ბინდი არასოდეს მიეკარება თქვენს ხსოვნას, ჩვენო ძვირფასო ვენერა მასწავლებელო.

ნათელში იყავით!

ლევან გაბეჩავა, მურად გელეიშვილი

სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრი იუწყება, რომ გარდაიცვალა განათლების ღვაწლმოსილი მუშაკი, ერუდირებული, მაღალი პასუხისმგებლობის, მრავალი თაობის აღმზრდელი, ქალბატონი

ეთერ ტორონჯაძე.

ვიტალი, თამრიკო, რევაზ და საბა ღირდალაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

კოტე ტორონჯაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ირა, ჯონდი, ლევან გაბეჩავები თანაუგრძნობენ შანიძეებისა და ტორონჯაძეების ოჯახებს, ბატონი

კოტე ტორონჯაძის

გარდაცვალების გამო.

„ჯიკოს" საახალწლო საჩუქარი

ფრენბურთის გულშემატკივრებმა იციან, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ფრენბურთელ ქალთა გუნდმა „ჯიკომ", საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატებში (უმაღლესი ლიგა) ათწლიანი ტრიუმფის შემდეგ დათმო პოზიციები და იგი მეორე საპრიზო ადგილით დაკმაყოფილდა.

თუმცა მრავალრიცხოვან სამტრედიელ გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ ძირითად მოწინააღმდეგესთან, თბილისის ნაკრებ გუნდთან, „ჯიკოს" მიერ უშეღავათო ბრძოლებით ჩატარებული ფინალური შეხვედრები, რომელიც ულამაზესი სპორტული სანახაობის სახეს ღებულობდა.

პოზიციების დათმობის მიზეზი, ერთი მხრივ, ზოგადად, საფრენბურთო კლასის ზრდა და სხვა გუნდების მაქსიმალური მობილიზება, ხოლო მეორე მხრივ „ჯიკოს" შემადგენლობაში თაობათა ცვლის და მოთამაშეთა ტრავმირების მწვავე პროცესი გახლდათ.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ადრეც და ამჟამადაც შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს აკეთებს გუნდის მხარდასაჭერად როგორც ფინანსური, ასევე მორალური თვალსაზრისით და მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის.

საქართველოს 2017-2018 წლების 27-ე ეროვნული ჩემპიონატის I ტურის შეხვედრებისათვის მზადება „ჯიკომ" განახლებული შემადგენლობით დაიწყო. მთავარი მწვრთნელის ბატონი ნუგზარ მიქაძის რეკომენდაციით გუნდში მოწვეული იქნენ გამოცდილი მოთამაშეები: ქეთევან ბლუაშვილი, ანა შერმადინი, სვეტლა სოსნოვსკაია, რომლებმაც წინასაშეჯიბრო საწვრთნელ შეკრებაზე კარგად აუბეს მხარი ნონა ღვინჯილიას, ირინა კახაძეს, ირინა ჭელიძეს, ჯული სანაძეს, გურანდა კვერნაძეს. ძირითად შემადგენლობაში ჩაირიცხა რამდენიმე პერსპექტიული ახალგაზრდა მოთამაშე უმცროსი ასაკის ჯგუფიდან: მარიამ ლეჟავა, ანა აბზიანიძე, სალომე დევიძე. გუნდისთვის პერსპექტიულ ცვლად მოიაზრებიან მარი ლაღაძე, მართა ლორთქიფანიძე უმცროსი ასაკის ჯგუფიდან.

27-ე ეროვნული ჩემპიონატის I ტურის შეხვედრები საქართველოს ფრენბურთის ეროვნული ფედერაციის მიერ შედგენილი კალენდრის მიხედვით ჩანიშნული იყო მიმდინარე წლის 5-10 დეკემბერს. შესაბამისად, გუნდის საწვრთნელი მომზადების ყველა ეტაპი გათვლილი იყო I ტურის შეხვედრებში წარმატებით გამოსვლისათვის და გუნდიც 5 დეკემბერს ამ რწმენით გაემგზავრა ქ. თბილისში, სადაც მათ ელოდათ შეხვედრები ბათუმის, თბილისის, ქუთაისის, ბოლნისის გუნდებთან.

I ტურის შეხვედრები საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა და ჩვენი გოგონების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მიზანსწრაფულად, მობილიზებულად ჩაატარეს ყველა შეხვედრა, მეტოქეები ერთნაირი ანგარიშით 3 : 0 დაამარცხეს და I ტურის ფავორიტები გახდნენ.

გუნდის მთავარი მწვრთნელი ბატონი ნუგზარ მიქაძე I ტურის შედეგებით კმაყოფილია და ამბობს: „მიუხედავად გუნდის შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებებისა კმაყოფილი ვარ I ტურის შედეგებით. გოგონებმა სწორად წარმართეს თამაში ჩვენს ძირითად მეტოქეებთან: თბილისისა და ბათუმის გუნდებთან. მათ ბრწყინვალედ გაართვეს თავი მათ წინაშე დასახულ ამოცანას და დადეს წინასაშეჯიბრო მზადებით გათვალისწინებული შედეგი. იმედი მაქვს, რომ გუნდი გააუმჯობესებს თამაშის ხარისხს და იბრძოლებს საქართველოს ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად.

მთავარი მწვრთნელის და გუნდის შემადგენლობის 2018 წლის ოცნებას შეადგენს ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შემდეგ ევროპის ლიგის თასის გათამაშებაში მონაწილეობის მიღება.

საფრენბურთო კლუბ „ჯიკოს" ადმინისტრაცია და ფრენბურთელ ქალთა გუნდი „ჯიკო" გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

კობა მანჯგალაძე

პატარა ლუკას დიდი წარმატება

ხონის მუნიციპალიტეტმა საჭადრაკო ფესტივალს „ხონი 2017-ს" უმასპინძლა ფესტივალში მონაწილეობა თბილისის, სამეგრელოსა და იმერეთის 230-მდე მოჭადრაკემ მიიღო. აღსანიშნავია ის, რომ მიუხედავად დიდი ტრადიციებისა, ათეული წლებია, ხონში მსგავსი ტურნირი არ გამართულა.

ტურნირში მონაწილეობდნენ 6, 8, 10, 12, 14 წლამდე ასაკის ჭაბუკები და გოგონები. ტურნირი გაიმართა შვეიცარული სისტემით 7 ტურად ფიდეს წესების გამოყენებით. ყოველ პარტიაზე თითოეულ მონაწილეს ეძლეოდა 10 წუთი, ყოველ სვლაზე 10 წამის დამატებით.

ფესტივალზე ასევე ჩატარდა ღია ტურნირი ქალებსა და მამაკაცებს შორის.

6 წლამდე ასაკის ნორჩ მოჭადრაკეებს შორის საუკეთესო შედეგი აჩვენა სამტრედიის კომპლექსური სპორტული სკოლის მოსწავლემ, 6 წლის ლუკა რუხაძემ. მან 7 შესაძლებობიდან 6 მოგებით პირველი-მეორე ადგილი გაიყო ფოთელ მოჭადრაკესთან და დაჯილდოვდა მედლით, თასითა და დიპლომით (მწვრთნელი ბესო ლეჟავა).

ეს პატარა ლუკას მორიგი წარმატებაა. ვიმედოვნებ, რომ ლუკა რუხაძის სახით კიდევ ერთი პერსპექტიული მოჭადრაკე ეზრდება სამტრედიის რაიონს. ვულოცავ მას და მის მწვრთნელს, ბატონ ბესო ლეჟავას კიდევ ერთ გამარჯვებას!

საჭადრაკო ფესტივალ „ხონი 2017-ში" ჩატარებულ ღია ტურნირში ქალთა შორის მეორე ადგილი დაიკავა სამტრედიის კომპლექსური სპორტული სკოლის მწვრთნელმა ქალბატონმა ნინო ჯვარშეიშვილმა.

ვულოცავთ ქალბატონ ნინოს ამ წარმატებას!

გულიკო გოგიტიძე

პედაგოგი, ფიზიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი

სვანი ქალბატონი ხარ და
უნდა გქონდეს კოშკში ბინა,
იუბილეს მოგილოცავთ,
გაიხარე ჩვენო თინა!

„სამტრედიის მაცნე"

ვულოცავთ!

ქალბატონ ლენა ხაჟალიას!

დაბადების დღეს გილოცავთ ღვაწლმოსილ პედაგოგს, მზეგრძელობასა და ბედნიერ დღეთა სიუხვეს გისურვებთ!

„სამტრედიის მაცნე"

ბატონ მიხეილ ლეჟავას!

გილოცავთ დაბადების დღეს, უფლის მადლი და წყალობა არ მოგკლებოდეთ!

„სამტრედიის მაცნე"

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839
სამტრედიის მაცნე
დირექტორი ბეჟან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა